

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი

გიორგი დურგლიშვილი

უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციით გამოწვეული
ურეთროპროსტატიტის პათოგენეზისა და მკურნალობის ზოგიერთი
თავისებურებანი

დისერტაცია

წარმოდგენილი მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი გიორგი გალდავა

თბილისი, 2014 წელი

სარჩევი

შესავალი

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 2. კვლევის მასალა და მეთოდები

2.1. გამოკვლევის მეთოდები

2.2. მკურნალობის მეთოდები

თავი 3. კლინიკური მასალის ზოგადი დახასიათება

თავი 4. მკურნალობის შემდეგ მიღებული მონაცემები და მათი განხილვა

4.1. მკურნალობის შემდგომი განკურნების კრიტერიუმები

4.2. ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორ-ნეოვირის და ფიზიოთერაპიის გამოყენებით ჩატარებული მკურნალობის გავლენა დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე

4.3. ჩატარებული მკურნალობის გავლენა ანთებითი პროცესის ხარისხზე ურეთრაში და წინამდებარე ჯირკვალში

4.4. ჩატარებული მკურნალობის გავლენა იმუნურ სისტემაზე

4.5. მკურნალობის გავლენა წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მდგომარეობაზე

4.6. მკურნალობის გავლენა (ანტიბიოტიკით, იმუნომოდულატორ-ნეოვირითა და ფიზიოთერაპიის გამოყენებით) რეპროდუქციულ სისტემაზე

თავი 5. მიღებული შედეგების განხილვა და დასკვნები

5.1. შედეგების შესწავლა

5.2. შედეგების განსჯა

5.3. დასკვნები

5.4. პრაქტიკული რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

უკანასკნელ წლებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებიდან ფართო გავრცელება ჰპოვა ქლამიდიურმა ინფექციამ, რომელიც აზიანებს არა მარტო ურეთრას, არამედ შარდ-სასქესო სისტემის სხვა ორგანოებსაც. ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებულმა ურეთრიტებმა, ურეთროპროსტატიტებმა და გენიტალური ორგანოების სხვა ანთებითმა პროცესებმა მსოფლიოს მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია (7, 23, 36, 50, 58, 62, 66, 81, 103, 129, 142, 149, 159, 167, 157). რადგან ამ პათოლოგიებისათვის დამახასიათებელია მრავალკეროვანი დაზიანება, ინფექციის აღმავალი გზებით (ლიმფოგენური და ჰემატოგენური) გავრცელება, რაც შემდგომში განაპირობებს არა მარტო ცალკეულ ორგანოთა, არამედ სხვადასხვა ორგანოთა სისტემების დაზიანებასაც, რასაც საბოლოო ჯამში მიყვავართ რეპროდუქციულ და კოოპულაციურ დისფუნქციამდე. აღნიშნული პათოლოგიები კი სცილდება სამედიცინო პრობლემატიკას და სოციალურ ასპექტში გადადის. (32, 97, 132, 134)

ქრონიკული ურეთროპროსტატიტი წარმოადგენს მამაკაცთა შარდ-სასქესო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ დაავადებას (9, 22, 23, 29, 100, 159, 164), ხოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მათ შორის ჩვენი ქვეყნის (1, 2), დასტურდება, რომ უროგენიტალური ქლამიდიოზი ითვლება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებში ყველაზე გავრცელებულ ინფექციად. სხვადასხვა მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად მისით ავადდება რამდენიმე მილიონი ადამიანი. საქართველოში უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის შემთხვევების მატება განპირობებულია ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წლების სტრატეგიულ გეგმაში (3) განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგადაც გაუქმდა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (სგგდ) პროფილაქტიკისა და მათი ადრეული გამოვლინების სახელმწიფო პროგრამები, რომლის სერვისებითაც აქტიურად სარგებლობდნენ სგგდ გავრცელების რისკ ჯგუფები – 20 წლამდე ასაკის მოზარდები, ჰომოსექსუალური ქცევის მამაკაცები, კომერციული სექს-მუშაკები და სხვები. სხვადასხვა კვლევებითა და შრომებით (4, 5, 11, 34, 74, 135) დასტურდება, რომ ეს კონტიგენტი სწორედ ის სამიზნე ჯგუფებია, რომლებიც საჭიროებენ პატრონაჟს სგგდ პრევენციისა და მკურნალობის კუთხით.

უკანასკნელ პერიოდში მიღწეულია გარკვეული წარმატებები უროგენიტალური ქლამიდიოზის პათოგენეზისა და დიაგნოსტიკის ზოგიერთი

საკითხის შესწავლაში (143, 153), თუმცა არსებობს მრავალი გადაუჭრელი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია ამ ინფექციის მკურნალობის საკითხებთან (168), რადგან არსებობს მრავალი მოსაზრება ანტიბიოტიკების დოზების, მათი შეყვანის გზებისა და მკურნალობის სქემაში იმუნომარეგულირებელი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა გამოცდილება და რეკომენდაციები ითვალისწინებს ანტიბიოტიკების მხოლოდ per os მიღებას და მათი მცირე და ერთჯერადი დოზირების გამოყენებას. ხოლო საწინააღმდეგო მკურნალობის სქემებს იყენებენ მეცნიერები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან (14, 26, 27, 33).

ქლამიდიური ინფექციისათვის დამახასიათებელი განვითარების ციკლისა და მისი კლინიკური გამოვლინების თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ ინფექციური აგენტით განპირობებული ურეთრიტები და ურეთროპროსტატიტები უმეტეს შემთვევებში მიმდინარეობს უსიმპტომოდ, რაც დაავადების ქრონიკულ ფორმაში გადასვლას იწვევს (6, 31, 147). ქლამიდიური ინფექციის დიდხანს არსებობა დაავადებული ადამიანის ორგანიზმში იწვევს მისი იმუნო-ბიოლოგიური თავისებურებების ცვლილებებს, რაც განაპირობებს მკურნალობის დროს ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი, ე.წ. რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბებას.

დღეისათვის მსოფლიოს წამყვანი ფარმაცევტული ფირმებისათვის აქტუალურ საკითხად რჩება უფრო მაღალეფექტური ანტიბაქტერიული საშუალებების სინთეზირება და შემდგომში მათი წარმოება. ასევე უფრო საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს იმუნომარეგულირებელი საშუალებების გავლენა ქლამიდიური ინფექციით გამოწვეული სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების მკურნალობის დროს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ანტიბიოტიკოთერაპიისა და იმუნომოდულატორების გამოყენება ყოველთვის არ იწვევს ქლამიდიური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული ავადმყოფის გამოჯანმრთელებას.

წარუმატებელი მკურნალობის შემდეგ ხშირია ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს დაავადების მიმდინარეობას და შემდგომში ზრდის მომავალი მკურნალობის ვადებს.

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების მკურნალობის დროს ფიზიოთერაპიული საშუალებების გამოყენება ნაკლებადაა შესწავლილი. გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთეული შრომები ამ თემასთან დაკავშირებით (5, 7, 13, 19, 28, 29). ამასთან, ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების დროს, მკურნალობის ფიზიოთერაპიული საშუალებების გამოყენება საკმაოდ პერსპექტიულია და სხვადასხვა მონაცემების მიხედვით საკმაოდ ეფექტური. დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ კატეგორიის ავადმყოფების მკურნალობის კომპლექსურ სქემაში ულტრაბგერისა და ულტრაფონოფორეზით ტრანსრექტალურად ანტიბიოტიკოთერაპიის გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრა.

ცნობილია, რომ ფიზიოთერაპიული მეთოდების ზეგავლენით ანტიბიოტიკების შეღწევადობა წინამდებარე ჯირკვალსა და მის სეკრეტში გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი პარენტერალური შეყვანის დროს. გარდა ამისა მათ ახასიათებთ ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილდამაყუჩებელი მოქმედება, იგი ადგილობრივად აძლიერებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს (9, 12, 20, 23, 24, 31, 32, 139).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქრონიკულად მიმდინარე ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების მკურნალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საჭიროებს შემდგომ შესწავლასა და დაკვირვებას.

აუცილებელია ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებულთათვის კომპლექსური სამკურნალო მეთოდების შემუშავება, ეტიოლოგიური და პათოგენეზური ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე მიზანშეწონილია ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის პროცესის დროს, მისი გათვალისწინება. საგაღმდეგო დამუშავდეს სტატისტიკურად სანდო მანკვენებლებზე მეცნიერულად დასაბუთებული სამკურნალო ღონისძიებების კომპლექსური მეთოდები, ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორებისა და ფიზიოთერაპიული საშუალებების ერთობლივად გამოყენების მიზანშეწონილობა ამ კატეგორიის ავადმყოფებში.

კვლევის მიზანი

ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთრიტითა და ურეტროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების განსაზღვრა და შემდგომში მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური სამკურნალო თერაპიის შემუშავება ანტიბიოტიკების, იმუნომარეგულირებელი საშუალებებისა და ფიზიოთერაპიული მეთოდების გამოყენებით და მისი ფართოდ დანერგვა სპეციალიზირებულ კლინიკებში

კვლევის ამოცანები

1. ქრონიკულად მიმდინარე ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე, წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მდგომარეობაზე და სპერმატოგენეზზე.
2. შესწავლილ იქნას ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის კომპლექსური მკურნალობის შემდგომი კლინიკო-ლაბორატორიული მაჩვენებლები, განსაკუთრებით: იმუნური სისტემის, წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მდგომარეობის და რეპროდუქციული სისტემის მხრივ.
3. დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორის, ასევე პათოგენური ხასიათისა და ინფექციურ-ანთებითი პროცესის ლოკალიზაციის გათვალისწინებით. შემუშავდეს კომპლექსური მკურნალობის მეთოდები.
4. შეფასდეს ქლამიდიური ინფექციით განპირობებული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის კომპლექსური მკურნალობის ეფექტურობა, მკურნალობის შემდგომი (ადრეული და შორეული) შედეგების გათვალისწინებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

უროგენიტალური ტრაქტის ქლამიდიური ეტიოლოგიის სხვადასხვა ანთებითი პათოლოგიების შესწავლა, მათი გავრცელების, მისი კლინიკური მიმდინარეობის იმუნურ და რეპროდუქციულ ფუნქციაზე ზეგავლენის განსაზღვრით, გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ეპიდემიოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება, დიაგნოსტიკისა

და მკურნალობის კომპლექსური მეთოდების შემუშავება - ამ თემის მეცნიერული სიახლეა.

კვლევების შედეგები გააშუქებს ქლამიდიური ინფექციის როლს უროგენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიაში და მათ ზეგავლენას ეაკულატის ფერტილობაზე; ნათელს გახდის ამ დაავადებათა პათოგენეზის ზოგიერთ მხარეს, შემუშავდება მეცნიერულად დასაბუთებული კვლევისა და მკურნალობის ოპტიმალური მეთოდები. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს დაავადებებისა და მათი გართულებების შემცირებას.

უროგენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის კომპლექსურ მკურნალობას გააჩნია მაღალი თერაპიული ეფექტი. ეს დაკავშირებულია ანტიბიოტიკების მიზანმიმართულ მოქმედებასთან, ანტიბაქტერიული პრეპარატების კომბინაციასთან, იმუნომოდულატორ ნეოვირთან და ფიზიოთერაპიულ პროცედურებთან. მკურნალობის ამ მეთოდის გამოყენებისას, პრაქტიკულად შეუძლებელია გამომწვევის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ფორმების ჩამოყალიბება და განაპირობებს ინფექციურ-ანთებითი პროცესის სრულ ეტიოლოგიურ და კლინიკურ განკურნებას.

კომპლექსურ მკურნალობას გააჩნია სტიმულაციური მოქმედება იმუნიტეტის T-უჯრედულ რგოლზე. იგი იწვევს T-ლიმფოციტების რაოდენობის ზრდას და იმუნოგლობულინების რაოდენობის შემცირებას. მოცემული მეთოდი განაპირობებს მკაფიოდ გამოხატულ ტკივილდამაყუჩებელ და ანთების-საწინააღმდეგო ეფექტს.

კომპლექსური თერაპიის ფონზე, ულტრაბგერითი კვლევის მონაცემებით, ხდება წინამდებარე ჯირკვლის მოცულობის (გარშემოწირულობის) შემცირება, შეშუპებისა და ინფილტრაციის ლიკვიდირება, რაც მიუთითებს წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურისა და შარდის ბუშტის ფუნქციის ნორმალიზებაზე.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

შემუშავებულია და მეცნიერულად დასაბუთებულია ქრონიკული ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტის მკურნალობის პრინციპულად ახალი მიდგომა, სადაც ხდება ანტიბაქტერიული პრეპარატების, იმუნომოდულატორ ნეოვირისა და ფიზიოთერაპიული მეთოდის ერთობლივი ზემოქმედება ანთებით კერებზე.

გენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიით გამოწვეული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის კომპლექსური მკურნალობა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ და მაღალეფექტურ სამკურნალო მეთოდს სხვა, ადრე არსებულ მეთოდებთან შედარებით, ვინაიდან ის საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ სრულ ეტიოლოგიურ და კლინიკურ განკურნებას ამ პათოლოგიით დაავადებული პაციენტების უმრავლესობაში.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები სოციალურ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. ქლამიდიურმა ინფექციამ, მისი ეტიოლოგიური და პათოგენეზური თავისებურებებიდან გამომდინარე, დიდი ხანია მედიცინის საზღვრები გადალახა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სახე მიიღო. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მოხდა რისკ ჯგუფების განსაზღვრა, სქესობრივი კულტურისა და სექსუალური განათლების მეთოდების გაუმჯობესება, ქლამიდიური ინფექციისა და მის მიერ გამოწვეული გართულებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს დაავადებულთა დროულ გამოვლინებას, რის ხარჯზეც მოხდება უროგენიტალური ტრაქტის ინფექციური და არაინფექციური პათოლოგიური პროცესებისა და მათ მიერ გამოწვეული გართულებების მნიშვნელოვანი კლება, მოხდება მრავალი პათოლოგიის პრევენცია, შემცირდება უშვილო ქორწინებათა პროცენტული მაჩვენებელი და გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში.

ნაშრომის შესახებ გაკეთებული მოხსენებები

- 23 თებერვალი - 2 მარტი, 2009 – მედიკოსთა XXV საერთაშორისო სკოლა - კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის, საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის XX კონფერენციის მონაწილე მომხსენებლის სტატუსით (ბაკურიანი). მოხსენება: “თანამედროვე შეხედულებანი უროგენიტალური ქლამიდიოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე”.
- 27 თებერვალი, 2011 – მედიკოსთა XXIX საერთაშორისო სკოლა - კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის, საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაციისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის XXVII

- კონფერენციის მონაწილე მომხსენებლის სტატუსით. მოხსენება: “ქლამიდიური ინფექციის პათოგენეზის ზოგიერთი საკითხი” (ბაკურიანი).
- 22 ივლისი 2012. მედიკოსთა XXXII საერთაშორისო სკოლა – კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული შპს “კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის“, საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის XXXIII კონფერენციის მონაწილე მომხსენებლის სტატუსით. მოხსენება: “მამაკაცთა სასქესო ჯირკვლების ანთებითი დაავადებები, განპირობებული უროგენიტალური ფარული ინფექციით, გართულებული უშიგლობით” (ჩაქვი).
 - 9-11 april, 2014. Jerusalem conference center, Israel. The 4th annual meeting of the auro-Asian association of dermatovenereologists: “sexually transmitted infections in georgia”. 9-11 აპრილი, 2014. იერუსალიმის საკონფერენციო ცენტრი, ისრაელი. დერმატო-ვენეროლოგთა ევრო-აზიული ასოციაციის მე-4 კონფერენცია: “სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები საქართველოში”.
 - 4-12 ივლისი, 2014. “საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციის” V პოლიპროფილური გაერთიანებული სამედიცინო კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული შპს კანისა და ვენ სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის, საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 42-ე კონფერენცია. მონაწილე მომხსენებლის სტატუსით: “ქრონიკული ქლამიდიური ურეთრო-პროსტატიტის მკურნალობის ფიზიოთერაპიული მეთოდები” (ჩაქვი).
 - 19 ივლისი, 2014. მედიკოსთა ტრადიციული XXXVI საიუბილეო საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის, საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 43-ე კონფერენცია. მონაწილე მომხსენებლის სტატუსით: “ქლამიდიური ინფექციის პათოგენეზის ზოგიერთი თავისებურებანი” (ჩაქვი).

გამოქვეყნებული შრომები

1. Galdava G., Shurgaia I., Durglishvili G., Shishniashvili D., Kituashvili T. Use of Immunomodulator Cycloferon in Urogenital Chlamydiosis Complex Therapy in Men. Ж. "Аллергология и иммунология". том.9. №5. октябрь 2008. стр.552-554.
2. გ.დურგლიშვილი, გ.გალდავა. უროგენიტალური ინფექციების ალტერნატიული თერაპია. ჟურნალი "ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა" №5, 2012 გვ. 52-55.
3. გ.დურგლიშვილი, გ.გალდავა. ეპიდემიის გავლენა რეპროდუქციულ ფუნქციაზე. ჟურნალი "GEORGIAN MEDICAL NEWS" №2 (215) 2013, გვ.32-35.
4. შ.ჭიოკიძე, გ.გალდავა, ო.ქვლივიძე, გ.დურგლიშვილი. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები საქართველოში. ჟურნალი "GEORGIAN MEDICAL NEWS" №3 2014, გვ.55-59.
5. G.Durglishvili, O.Kvividze, G.Galdava. Trend in STIs 2000-2012 at large clinic in Georgia: implication for policy" Sexually Transmitted Infection" volume 90, issue 4, june 2014.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შეადგენს 98 ნაბეჭდ გვერდს. მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის მასალისა და მეთოდების აღწერას, კლინიკური მასალის ზოგად დახასიათებას, მკურნალბის შედეგებს, განხილვას, დასკვნებს და გამოყენებული ლიტერატურის სიას. დისერტაცია ილუსტრირებულია ოცდახუთი ცხრილით, სამი სქემით, ერთი დიაგრამითა და ექვსი სურათით. ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს 171 ნაშრომს.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. ქლამიდიური ურეთროპროსტატიტების თანამედროვე შეხედულებები. მიღწევები და პრობლემები ქლამიდიოზით განპირობებული ქრონიკული ურეთროპროსტატიტების დროს

უროგენიტალური ინფექციების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე დიდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს (9, 13, 29, 33, 43, 54, 60, 64, 70, 82, 95, 107, 171), რომელთა შორისაც განსაკუთრებული წილი მოდის ქლამიდიურ ინფექციაზე. სხვადასხვა ქვეყნების კვლევების მიხედვით წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი დაავადებები ფართოდაა გავრცელებული: განსაკუთრებით ავადდებიან 20-დან 45 წლამდე ასაკგაზრდა და შრომისუნარიანი მამაკაცები, დაავადება რთულდება კოპულაციური და რეპროდუქციული დისფუნქციებით (11, 14, 15, 28, 30, 37, 42, 49, 51, 69, 75, 113, 115, 128, 131, 170). სულ უფრო ხშირია შერეული მიკროფლორით გამოწვეული უროგენიტალური ტრაქტის ანთებითი დაავადებები, ამასთან განხილული შემთხვევების 70% მოდის ქლამიდიური ინფექციის შერწყმასთან ურეთროპროსტატიტთან და სხვა გამომწვევებთან. ქრონიკული პროსტატიტი - მამაკაცთა შარდ-სასქესო სისტემის ყველაზე ხშირ დაავადებად ითვლება (8, 17, 19, 20, 22, 48, 49, 92, 110, 121, 144), მაგრამ დღემდე შესწავლილი და აღრიცხული არ არის ჭეშმარიტად სრულად მისით ავადობის ზუსტი რიცხვი. უროლოგთა და ვენეროლოგთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მსოფლიოში წინამდებარე ჯირკვლის ანთებით დაავადებულია მამაკაცთა 20-25%, ანტიბაქტერიული თერაპიის მეთოდების განვითარების მიუხედავად დაავადებათა სიხშირე არ მცირდება. დაავადებისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ტალღისებური მიმდინარეობა, რემისიებისა და გამწვავების მონაცვლეობით მას გააჩნია ისეთი კლინიკური ფორმები, რომლის დროსაც მხოლოდ ანტიბაქტერიულ თერაპიას ეფექტი არ აქვს, ყოველივე ზემოთხსენებული საჭიროებს ახალი კონსერვატიული მეთოდების ძებნას (24, 27, 114, 117, 137, 145).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები განსაკუთრებული ინტერესით განიხილავენ უროგენიტალურ ქლამიდიურ ინფექციას, რომელსაც ახასიათებს მიმდინარეობის სუბკლინიკური ფორმა, რის შედეგადაც ვითარდება უფრო მკაფიოდ გამოხატული მცირე მენჯის ღრუ ორგანოების ანთებითი

პათოლოგიები, ურეთრიტი, ეპიდიდმიტი, უნაყოფობა, ლიმფოგრანულომა, რეაქტიული ართრიტი და სხვა მრავალი (39, 44, 45, 50, 57, 63, 72, 73, 82, 87, 93, 154).

ქლამიდიური ეტიოლოგიის უროგენიტალური ინფექციის ერთ-ერთმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ 15656 გამოკვლეულიდან მათი გავრცელების სიხშირე შეადგენდა 6,4%-ს, რომელთა შორის უსიმპტომო მიმდინარეობა აღენიშნებოდა 60%-ს, ხოლო სხვადასხვა ეტიოლოგიის ურეთრიტით დაავადებულ ავადმყოფებში ქლამიდიური ინფექცია აღმოჩნდა 18,5%-ში. ქლამიდიური ეტიოლოგიით მიმდინარე ურეთროპროსტატიტებისთვის დამახასიათებელია მრავალკეროვანი დაზიანება და აღმავალი ინფექციის განვითარება (38, 40, 41, 46, 55, 76, 101, 108, 124, 136, 148).

უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის ასოციაცია, სხვა მიკროორგანიზმებთან ერთად, ყველაზე ხშირად აღინიშნება იმუნური სისტემის დისფუნქციით დაავადებულებში, რომლის დროსაც დაქვეითებულია ადგილობრივი და საერთო იმუნიტეტის აქტივობა, ფაგოციტოზი, ამასთან ერთად აღინიშნება მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის მატება ანტიბიოტიკების მიმართ. ანტიბაქტერიული თერაპია შეიძლება აღმოჩნდეს არაეფექტური. ავტორთა აზრით, გამომწვევის ორგანიზმში პერსისტირების თავიდან აცილების მიზნით და ქრონიკული ურეთროპროსტატიტის პროგრესირების შესაჩერებლად, მხოლოდ სპეციფიური ანტიბიოტიკოთერაპიის ჩატარება არ არის საკმარისი (10, 12, 18, 62, 65, 72, 94, 95, 127, 160)

1.2 ქლამიდიური ინფექციის ზოგადი დახასიათება

სხვადასხვა მონაცემებით ქრონიკულად მიმდინარე უროგენიტალური ქლამიდიოზის დროს განვითარებული ტოტალური ურეთრიტების, პროსტატიტების, ურეთროპროსტატიტების, პროსტატოვეზიკულიტების, ვეზიკულიტების, ეპიდიდმიტებისა და ორქიეპიდიდმიტების ძირითად გამომწვევად გვევლინება *Clamydia trachomatis*, რომლის ცხოველმყოფელობა – განვითარება, გამრავლება, ძირითადად ეპითელურ უჯრედში მიმდინარეობს (16, 33, 52, 80, 81, 89, 96, 99, 111). მიკროორგანიზმი გრამუარყოფითია, მას გააჩნია გარსი და შეიცავს დნმ-ს და რნმ-ს. თუმცა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება, ამ მიკროორგანიზმის ვირუსებისა თუ ბაქტერიებისათვის მიკუთვნების საკითხში (33, 80).

ჯანმრთელი ადამიანები არ არიან ინფექციის მატარებლები, თუმცა ქლამიდიური ინფექცია ადამიანის ორგანიზმში პოულობს ცხოველ-მყოფელობისათვის ხელსაყრელ გარემოს და ხელს უწყობს პოპულაციაში დაავადების ფართო გავრცელებას (4, 13, 14, 134, 138).

1.3 ქრონიკული ურეთროპროსტატიტების პათოგენეზი და სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების მორფოლოგიურმა კვლევამ გამოაშკარავა წინამდებარე ჯირკვლის მრავალფეროვანი ცვლილებები, მათ შორის ისეთი როგორცაა წინამდებარე ჯირკვლის კატარალური, ფოლიკულური და პარენქიმული ფორმის ანთება (14, 22, 37). ანთებითი პროცესის გართულებული, გახანგრძლივებული და ფარული მიმდინარეობისას შედარებით ტიპურია კისტისმაგვარი მიკროდრუების განვითარება (ანთებითი დეტრიტით) ჯირკვლის აცინუსების ადგილას მომატებული უჯრედული ინფილტრაციის ფონზე ამ აცინუსების გარშემო, აცინუსის კედლებში, ლიმფურ სადინარებში და სისხლძარღვებში, კუნთოვან ბოჭკოებსა და უჯრედებს შორის. ხშირად აღინიშნება ანთებითი ფიბროზი. ანთებითი კერები ჰიდროფილურია და ულტრაბერითი დიაგნოსტიკის დროს ჩანან ჰიპოექსოგენურ ზონებად (8, 22).

ინფექციური პროსტატიტი მიმდინარეობს შემდეგი სქემის შესაბამისად: წინამდებარე ჯირკვლის აცინუსების ჰემოდინამიკისა და დრენირების მოშლა – მიკროფლორის აქტივაცია – ინფექციური ანთებითი კერების განვითარება – მიკროდრუების წარმოქმნა დეტრიტით და გამომყოფი სადინარების ობტურაციის შედეგად განვითარებული ექსუდაციით – ანთების ქრონიზაცია და ჯირკვლის პარენქიმის სკლეროზირება (104, 22). დადებითი ნორმალიზაციის ეფექტი, რომლითაც დასტურდება ეს სქემა, განაპირობებს ისეთი შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც გამოიწვევს ჯირკვლის გლუვი კუნთების შემცირებას და მის აცინუსებში შეგუბებითი მოვლენების ლიკვიდაციას, რაც შეაჩერებს ანთებითი პროცესის განვითარებას (118).

უროგენიტალური ქლამიდიოზის პათოგენეზის დროს, გამომწვევისა და ანთებითი მედიატორების დამაზიანებელ-პათოლოგიური მოქმედება დამოკიდებულია დამაინფიცირებელ მიკროორგანიზმთა შტამების

ვირულენტობასა და ასევე დაავადებულის იმუნური სისტემის საპასუხო რეაქციის ხასიათზე (19, 33, 99, 133).

1.4 შესასწავლი პათოლოგიის კლინიკური გამოვლინება

უროგენიტალური ქლამიდიოზის კლინიკური სიმპტომატიკა ძალიან მრავალფეროვანია. იგი დამოკიდებულია დაინფიცირების მომენტის შემდგომ გასულ პეროდზე, დაზიანების ლოკალიზაციაზე, ორგანიზმის ადგილობრივი და საერთო რეაქციის ინტენსივობაზე. ძალიან ხშირად გვხვდება ინფექციის უსიმპტომო ფორმები. გამწვავებული ურეთროპროსტატიტების დიაგნოსტიკა რთული არ არის (18, 31, 33, 98). უროგენიტალურ ქლამიდიურ ინფექციაზე ეჭვის მიტანა შეიძლება ხშირი კონიუნქტივიტებისა და სხვადასხვა ლორწოვანი გარსების ანთებითი დაზიანებისას. შესაძლებელია განვითარდეს ჩივილები შორისის არეში, საზარდულისა და სათესლე ჯირკვლების საპროექციო არეში, დისკომფორტის შეგრძნება ურეთრაში, უმნიშვნელო წვისა და ქავილის შეგრძნებით (13, 16, 53, 67, 71).

დიაგნოსტიკების ძირითადი პრინციპია მოხდეს დიფერენცირება წინამდებარე ჯირკვლის ინფექციური და არაინფექციური ანთებას შორის, ამისათვის გამოიყენება ლაბორატორული კვლევის მრავალი მეთოდი, მათ შორის სკრინინგ მეთოდებიც (16, 20, 81, 83).

მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ ღირებულებას წარმოადგენს წინამდებარე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა, რომელთა შორის ტრანსურეთრალურ და ტრანსრექტალურ მეთოდებს წამყვანი როლი ენიჭება. რისი საშუალებითაც შედარებით ადვილად განისაზღვრება პროსტატის ფიბროზული ცვლილებები, წარმოქმნილი კალცინატების რაოდენობისა და ზომების ზრდა. უფრო რთულად კი ანთებითი ინფილტრაცია, ანთებით-ობტურაციით მიკროდრუების და ჯირკვლის შეშუპება (20, 122).

წინამდებარე ჯირკვლის ცვლილებები ულტრაბგერითი კვლევების დროს მონიტორის ეკრანზე ჩანს, როგორც ექოპოზიტიური წარმონაქმნები. ანთებითი უჯრედული ინფილტრაციისა და მიკროკისტების უბნები, რომლებიც შეიცავს ექსუდატს და გვაძლევს ჰიპოექოგენურ ეფექტს (18, 20).

1.5 ქრონიკული ურეთროპროსტატიტებით დაავადებულების იმუნური
სისტემის მდგომარეობა

ინფექციური ეტიოლოგიის ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული ავადმყოფებისათვის დამახასიათებელია T-უჯრედული რგოლის დაზიანება, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია, როგორც მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. ამ დროს პაციენტთა უმრავლესობაში გამომწვევ მიზეზად გამოვლენილ იქნა ქლამიდიური ინფექცია (13, 47).

ქრონიკულ პროსტატიტს, მამაკაცთა უნაყოფობის ექსკრეტორული ფორმით, თან ახლავს იმუნოლოგიური ძვრები: პერიფერიულ სისხლში T-ლიმფოციტებისა და მათი სუბპოპულაცია T-სუპრესორების დაქვეითება, B-ლიმფოციტების აქტივაცია სისხლში და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში, T-ჰელპერების მომატება ჯირკვლის სეკრეტში. წარმოიქმნება უჯრედული და ჰუმორალური იმუნოლოგიური რეაქცია (62, 69, 72).

ქლამიდიური ინფექციით ინფიცირება იწვევს, ქალებისა და მამაკაცების რეპროდუქციული ორგანოების, ლორწოვან გარსებში იმუნური რეაქციების შეცვლას. ექსპერიმენტში “in vitro” უროგენიტალური ქლამიდია იწვევს - ლიმფოციტების პროლიფერაციას, რომლებიც T-ლიმფოციტების არსებობისას დიფერენცირდებიან სეკრეტირებული იმუნოგლობულინების ფორმით, მაგალითად როგორცაა IgM (61).

ამასთან ერთად ქლამიდიური ინფექციის შიდაუჯრედული განლაგება და განვითარება მეტყველებს მის დაბალ იმუნოგენურობაზე. რადგან არც ისეთი მაღალია მიკროორგანიზმის უნარი დაუყოვნებლივ მიემაგროს იმუნოციტების გარეთა მემბრანებს. გამონაკლისს წარმოადგენს ქლამიდიის არასპეციფიური გავლენა ფაგოციტოზზე: ქლამიდიური ინფექციის დროს ფაგოციტური რეაქცია შესუსტებულია და არასრულფასოვანია. ლიტერატურაში აღწერილია, რომ ინფექციური აგენტი შეაღწევს ფაგოციტში და იქ რჩება, ინარჩუნებს ინფექციას და იწვევს არასპეციფიური დაცვის დისფუნქციას (23, 61).

ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანია აუტოიმუნური რეაქციების განვითარება, რაზეც მეტყველებენ კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევები. თუმცა იმუნოპათოლოგიური რეაქციის პრობლემა დღემდე ბოლომდე შესწავლილი არ არის. ამასთან იმუნური სისტემის დაცვითი მექანიზმის ანალიზი უროგენიტალური

ქლამიდიოზის წინააღმდეგ ექსპერიმენტულ თაგებში B-ლიმფოციტების დეფიციტით აჩვენებს, რომ ანტისხეულების გამომუშავება აუცილებელი არ არის იმუნური პასუხის განსახორციელებლად, მისი უზრუნველყოფა შეუძლია უჯრედულ რეაქციას T-ჰელპერებს CD4+მეშვეობით. უჯრედულ აქტივაციას B-უჯრედების გარეშე, აუტოიმუნური პროსტატიტის ინდუქციაში შესაძლებელია მიენიჭოს მთავარი მნიშვნელობა: ჩატარებულ ექსპერიმენტში მიღებულია აუტოიმუნური პროსტატიტი პერიტონეალური უჯრედების აქტივაციისას ან ციტოტოქსიური უჯრედული ელემენტების ლიმფოიდური სისტემის აქტივაციისას (59, 68, 99).

ლიტერატურაში მოცემულია, რომ ქლამიდიური ინფექციისას ციტოტოქსიური უჯრედების აქტივაციისას ქლამიდიური იმუნიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის CD4+ და CD8+ ლიმფოციტებს (6, 85).

თუმცა სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ მთლიანობაში იმუნური სტატუსის პარამეტრების შეფასება არ არის აუცილებელი, რადგან ხანგრძლივად მიმდინარე ქლამიდიური ინფექციის ქრონიკული ფორმებისათვის დამახასიათებელი არ არის ლიმფოციტების რაოდენობის ცვლილება (72). რიგი ავტორები კი, ახალშობილების ქლამიდიოზის დროს, აღნიშნავენ B და T-ლიმფოციტების რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცირებას და T-უჯრედების სუბპოპულაციის დისბალანსს (84).

1.6 ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტების დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მეთოდები

ქრონიკული ურეთროპროსტატიტების ეტიოლოგიური აგენტები განისაზღვრებიან ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. წინა წლებში გამოყენებული მეთოდებით გამომწვევის აღმოჩენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული - შეიძლება მივიღოთ არასწორი პასუხი მეთოდის არასაკმარისი მგრძობელობის გამო.

პათოლოგიური პროცესის უფრო ზუსტი დიაგნოსტიკისთვის, მაგალითად, კლინიკურად ლატენტური ფორმების დროს, დღეისათვის რეკომენდირებულია ჯაჭვური პოლიმერიზაციის რეაქციის (პჯრ) მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ქლამიდიის დნმ და რნმ. სხვა

უფრო რთულ დიაგნოსტიკურ მეთოდებს მიეკუთვნება ქლამიდიის ცხოვრების-უნარიანი ფორმების გამოყოფა უჯრედულ კულტურაში. პჯრ მეთოდი ეკონომიური თვალსაზრისით საკმაოდ ძვირადღირებულია. დღეისათვის უფრო ფართოდ და ხშირად გამოიყენება იმუნოფლუორესცენციის მეთოდი. იმუნოფერმენტული ანალიზი ინფექციის გამომწვევის ანტიგენისა და მისი ანტისხეულის გამოყოფის სეროლოგიური მეთოდია, რომლების დროსაც კვლევის მასალას წარმოადგენენ სისხლის შრატის, შარდის, ნაცხის ან ურეთრიდან ჩამონარეცხი, სპერმა, პროსტატის წვენი (33, 81, 119, 123, 142, 146, 156, 165, 166).

ურეთრის ანაფხეკის და შარდის გამოყენება ქლამიდიური ინფექციის გამოსავლენად შესაძლებელია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციის გამოყენების დროს. ორივე მასალა ერთნაირად საინტერესოა კვლევისთვის და საკმაოდ მაღალი მგრძობელობით ხასიათდება (119).

დიდი დიაგნოსტიკური ღირებულება გააჩნია ტექნიკურად უმარტივეს მეთოდს - ლეიკოციტების განსაზღვრას წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში. ანთების ნიშნები აღინიშნება სეგმენტბირთვიანი ლეიკოციტების მონონუკლეარების ნეკრობიოზის და ნეკროზის მდგომარეობაში შეჭმუხნული ეპითელის აღმოჩენისას. წინამდებარე ჯირკვლის წვენის ნორმალიზება მიუთითებს წარმატებულ მკურნალობას (6).

კლინიკური პრაქტიკა და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სავსებით მართლებულია და აუცილებელი გატარდეს ორგზის ლაბორატორიული გამოკვლევა, ეწ დუბლირების მეთოდი, გენიტალური ინფექციებისა და შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი პათოლოგიების გამოსავლენად. მიჩნეულია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს ურეთრალური ნაცხის, შარდისა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის გამოკვლევა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რადგან არ გამოგვრჩევს ურეთროპროსტატიტისა და პათოგენური მიკროორგანიზმების კლინიკურად ლატენტური ფორმები და რეციდივები, ასევე გამოირიცხოს ჰიპერდიაგნოსტიკა, რომელიც ასევე ხშირია (16).

1.7 ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მკურნალობის პრობლემები

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტებით დაავადებული პაციენტების მკურნალობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჭიროა იგი იყოს კომპლექსური და უფრო სრულყოფილი (106, 130). მანიფესტირებული ინფექციური პროცესის ნიშნების და მიკრობული ელიმინაციის ლიკვიდაციის

შემდეგ, ურეთროპროსტატიტით გამოწვეულმა ანთებითმა პროცესმა შეიძლება განაგრძოს პერსისტირება და მიიღოს ქრონიკული, უსიმპტომო მიმდინარეობის ფორმა. ამიტომ მიზანშეწონილი ხდება, ანტიბიოტიკოთერაპიასთან ერთად, მკურნალობის პროცესში ფიზიოთერაპიული მეთოდების ჩართვა (5, 21).

დომინირებს აზრი, რომ ქლამიდიური ეტიოლოგიით მიმდინარე ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მკურნალობაში აუცილებელია გამოყენებულ იქნას ანტიბაქტერიული თერაპია, იმუნომარეგულირებელი თერაპია და ფიზიკური მოქმედების მეთოდები - ულტრაბგერის არჩევითი მეთოდით, ფონოფორეზი სამკურნალწამლო საშუალებებით, ელექტროფორეზი, ლაზერი, თერმოთერაპია (მიკროტალღური ლაზერით), მაგნიტოთერაპია და სხვა სამკურნალო საშუალებები (21, 25, 26, 86).

ლიტერატურაში მოყვანილი მასალების მიხედვით, ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტებით დაავადებული მამაკაცების კომპლექსურ მკურნალობაში ძირითადი როლი ენიჭება ანტიბიოტიკებისა და იმუნომოდულატორების გამოყენებას. ხოლო მკურნალობის პროცესში ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩართვა დღემდე მრავალი მეცნიერისათვის საკამათო საკითხად რჩება. ჩვენი აზრით, არსებით ინტერესს იწვევს ულტრაფონოფორეზით ანტიბიოტიკების შეყვანა ანთებითი კერების ადგილას, როგორც ტოპოგრაფიულად მიზანმიმართული კონსერვატიული მკურნალობის მეთოდი, ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მკურნალობის შემთხვევაში.

ქრონიკული ურეთროპროსტატიტების სამკურნალოდ ანტიმიკრობული თერაპიის გამოყენების დაბალეფექტურობას განაპირობებს დაავადებისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი სტრუქტურული ცვლილებები წინამდებარე ჯირკვალში, ისეთები, როგორცაა - სფერული, სამკუთხა, წვეთისფორმის ან უსწორმასწორო ფორმის მიკროდრუების ჩამოყალიბება, რომლებიც გამოვლინდებიან ულტრაბგერითი დიაგნოსტიკებისას და ასევე კვლევის სხვა მეთოდებითაც. ისინი წარმოადგენენ წინამდებარე ჯირკვლის არადრენირებად ნაწილებს, რომლებიც წარმოიქმნენ ქრონიკული ექსუდაციურ-პროლიფერაციული ანთების და მათი კედლების სკლეროზის შედეგად. ამასთან ერთად, წილები შეიცავს ჩირქოვან-სეროზულ ექსუდატს, უჯრედული დეტრიტის ელემენტებთან ერთად. ამ შემთხვევაში მხოლოდ ანტიბიოტიკოთერაპიის ჩატარება საკმაოდ არაეფექტურია. ალტერნატიულ მეთოდად ანტიბიოტიკების ხანგრძლივად გამოყენება იწვევს სხვა მრავალ გართულებას - დისბაქტერიოზს,

სუბკომპენსაციურ მეორად იმუნოდეფიციტს, რომლებიც, თავის მხრივ, ართულებენ უროგენიტალური პათოლოგიის მიმდინარეობას (33, 78, 88, 118).

უკანასკნელ პერიოდში თითქმის არ გამოქვეყნებულა არც ერთი პუბლიკაცია თუ ექსპერიმენტული კვლევის შედეგი, რომელიც ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტების მკურნალობის ახალი მეთოდების შესახებ მოგვაწვდიდა ინფორმაციას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ იმ ავადმყოფებში, ვისაც ჩატარებული აქვს კომპლექსური მკურნალობა, ლაბორატორიულმა კვლევებმა შესაძლებელია გვიჩვენოს ცრუდადებითი შედეგები, სადაც ან არ, ან დადასტურდეს ინფექციური აგენტების არსებობა – პრობლემა მეტად აქტუალური ხდება.

რეალურად რომ მოხდეს ქლამიდიური ურეთროპროსტატიტების განკურნების დადასტურება, იმ ავადმყოფებში ვისაც ჩატარებული აქვს მკურნალობის კურსი და უროგენიტალური ტრაქტის მხრივ არ აღენიშნება აშკარად გამოხატული კლინიკურად სიმპტომები, რეკომენდირებულია ჩატარდეს საკონტროლო ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შარდის ეგრეთ წოდებული ანალიზი სამ პორციად: ურეთრის გამონაყოფის ანალიზი, წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის ანალიზი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მიზანშეწონილია შარდ-სასქესო სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარება მკურნალობიდან 2-3 კვირის და უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ჩატარებით, პროცენტულად უფრო ნაკლები შანსი რჩება გაგვეპაროს ინფექციისა და შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ანთებითი პროცესი ან მისი რეციდივი, ან მისი ლატენტური ფორმა. ქლამიდიური ინფექციის აღმოჩენის შემთხვევაში კი, მცირე შესვენების შემდეგ, საჭირო ხდება მკურნალობის განმეორებით კურსის ჩატარება.

1.8 ანტიბიოტიკების გამოყენება ურეთროპროსტატიტის მკურნალობის დროს

სამეცნიერო სამედიცინო ლიტერატურაში მრავლადაა შრომები, სადაც საუბარია უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის ეფექტურ მკურნალობაზე სხვადასხვა ანტიბიოტიკის გამოყენებით. ამა თუ იმ პრეპარატის ეფექტურობის შესახებ მონაცემები განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. სწორედ ამიტომ ხდება, რომ მეცნიერების დიდი ნაწილი რეკომენდაციას უწევს

კომპლექსურ სამკურნალო თერაპიას რამდენიმე ანტიბიოტიკის გამოყენებით. უფრო აქტუალურია მაღალეფექტური ანტიმიკრობული საშუალებების ძიება და წარმოება, რათა მიღწეული იქნას უფრო მაღალი დადებითი სამკურნალო ეფექტები. უკანასკნელ პერიოდში ირკვევა, რომ ქლამიდიური ინფექციის მკურნალობის დროს ყველაზე ეფექტური ანტიბიოტიკებია მაკროლიდების ჯგუფის პრეპარატები (მაკროპენი, სუმამედი, რულიდი, კლარიტრომიცინი ან კლაცინი), ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიმიკრობული საშუალებები (მაქსაკვინი, ოფლოქსაცინი, აბაქტალი, ციპროფლოქსაცინი) და ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები (დოქსიციკლინი, ვიბრამიცილინი, დორიკსი). ქლამიდიური ინფექციის მკურნალობის დროს დაბალი აქტივობით ხასიათდება პენიცილინი, ლევომიციტინი, სულფანილამიდები, ცეფალოსპორინების I ან II თაობის პრეპარატები. ქლამიდიოზის მკურნალობის დროს ასევე არაეფექტურია ამინოგლიკოზიდები და ცეფალოსპორინები III თაობის სამკურნალო საშუალებები (78, 88, 102, 103).

ბოლო 2-3 წლის მანძილზე გამოქვეყნებულმა შრომებმა ცხადყო, რომ ქლამიდიური ინფექციის სამკურნალოდ ყველაზე ეფექტურია ანტიბიოტიკების შემდეგი ჯგუფები: ტეტრაციკლინები, მაკროლიდები, ფტორქინოლონები. ლიტერატურულ წყაროებში მოცემულია, რომ აუცილებელობას წარმოადგენს იმუნომოდულატორების ჩართვა ქლამიდიური ინფექციის კომპლექსურ მკურნალობაში. ბოლო წლებში სინთეზირებული და აპრობირებული იქნა ახალი ანტიქლამიდიური პრეპარატი ნეოვირი, რომელსაც ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიქლამიდიური, ანტივირუსული და იმუნომარეგულირებელი თვისებები გააჩნია. შარდ-სასქესო სისტემის ქლამიდიური ინფექციის სამკურნალოდ აღნიშნული პრეპარატის გამოყენებას, ზემოთ ჩამოთვლილ ანტიბიოტიკებთან ერთად, კომპლექსში, შესაბამისი სქემით, მიყვავართ კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების ნორმალიზებისაკენ 97,8% შემთხვევაში (109, 112, 113, 115).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომპლექსური ანტიბიოტიკოთერაპიისა და იმუნოსტიმულაციის ფონზე, დადებითი ანთების საწინააღმდეგო ეფექტით ხასიათდება მკურნალობის პროცესში დამატებით ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩართვა (ულტრაბგერა, ანტიბიოტიკების ულტრაფონოფორეზი) (5).

არ არსებობს მეცნიერთა ცალსახა დამოკიდებულება ანტიბიოტიკების დოზების შესახებ, ასევე არაერთგვაროვანია მკურნალობის კურსის

ხანგრძლივობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, მაგრამ არსებობს ერთსულოვანი დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ ანტიმიკრობული თერაპიის პარალელურად გამოყენებული უნდა იყოს ისეთი საშუალებები, რომლებიც გამოიწვევს ავადმყოფების იმუნური სისტემის სტიმულაციას, მცირე მენჯის ღრუს კუნთებისა და ორგანოების სისხლით მომარაგების გაუმჯობესებას და ასევე გააუმჯობესებს ფიზიოთერაპიის მეთოდების გამოყენებას (5, 18, 19).

1.9 იმუნომარეგულირებელი საშუალებების გამოყენება შარდ-საქსქესო სისტემის ქრონიკული ინფექციურ-ანთებითი პროცესების დროს

კლინიკურ-ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქრონიკულად მიმდინარე პერსისტირებადი უროგენიტალური ინფექციის დროს ხდება ადამიანის ორგანიზმის საერთო და ადგილობრივი იმუნიტეტის დასუსტება, მცირდება ფაგოციტოზის აქტივობა. ქლამიდიური ან შერეული ქლამიდიო-ბაქტერიული ინფექციების დროს ეს შეიძლება აიხსნას სხვადასხვა მიკროორგანიზმების უნარით იმოქმედონ უჯრედების გარე რეცეპტორებზე და განახორციელონ პარაზიტული მოქმედებები უჯრედშიგნით, რის დროსაც უჯრედთა დიდი ნაწილი იღუპება (120). ინფექციის შედეგად განვითარებული იმუნური სისტემის დისფუნქცია გამოვლინდება იმუნოკომპეტენტური უჯრედების აქტივობის შემცირებით ან მათი დისკორდინაციული მოქმედებით, რის შედეგადაც ერთნი აქტივირდებიან, მეორენი კი სუსტდებიან, საბოლოო ჯამში კი ყალიბდება იმუნოპათოლოგიური რეაქცია (12, 27, 167).

აქედან გამომდინარე, გენიტალური ორგანოების ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტების მკურნალობას დროს, ძალზედ მნიშვნელოვანია იმუნომაკორეგირებელი და იმუნომასტიმულირებელი თერაპიის ჩატარება, ადგილობრივი და საერთო იმუნიტეტის ნორმალიზების მიზნით, ასევე ფაგოციტოზის მასტიმულირებელი პრეპარატების დანიშვნა (12, 13, 18, 33, 158, 161).

იმუნური სისტემის რეაქციაზე და უჯრედზე ზემოქმედებით დადებითი თერაპიული ეფექტი გააჩნია პრეპარატ ნეოვირს, ტიმოგენს, მეთილურაცილს, T-აქტივინს, ციკლოფერონს, პრეპარატ-ვაქცინა “solkourova”-ს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეოვირს გააჩნია ანტიქლამიდიური, ანტივირუსული, იმუნო-მაკორეგირებელი და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება. იგი იწვევს ორგანიზმში ინტერფერონების გამომუშავებას. ნეოვირი ააქტიურებს ძვლის ტვინის

უჯრედებს, მოქმედებს T-ლიმფოციტებზე, არეგულირებს ბალანსს T-სუპრესორებისა და T-ჰელპერების სუბპოპულაციებს შორის, ზრდის მაკროფაგების ფაგოციტურ აქტივობას, დადებითად მოქმედებს მიკროფაგებზე (პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტები). აგრეთვე, მიზანშეწონილია ბიოსტიმულატორების, ვიტამინების, ფერმენტებისა და სხვა უჯრედული ენერჯის გასაზრდელი პრეპარატების დანიშვნა წინამდებარე ჯირკვლისა და უროგენიტალური სისტემის სხვა ორგანოების გლუვი და განივზოლიანი კუნთებისთვის (150, 157).

მოცემული ლიტერატურა ამტკიცებს ხაიტოვისა და თანაავტორების ჰიპოთეზას, რომ ქრონიკული შარდ-სასქესო სისტემის ქლამიდიური ინფექციის ფონზე, ორგანიზმში შესაძლებელია განვითარდეს ისეთი იმუნოპათოლოგიური პროცესები, როდესაც დარღვეულია იმუნიტეტის უჯრედების შემადგენლობა და მათი აქტივობა. ამ დროს ძირითადად იცვლება არა მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი, არამედ უპირატესად ზიანდება იმუნური სისტემის კომპლექსების ან კომპონენტების ურთიერთკავშირი, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ცალკეული ორგანოებისა და ორგანოთა სისტემის ნორმალური ფიზიოლოგიური ფუნქციონირების გაუარესებისკენ და ადამიანის ორგანიზმში მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობის ჩამოყალიბებამდე (18, 21, 23, 158).

1.10. ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობის დროს ფიზიოთერაპიული მეთოდების გამოყენება

სამეცნიერო პუბლიკაციებში მრავალი ავტორი უწევს რეკომენდაციას წინამდებარე ჯირკვლის ანთების დროს მკურნალობის პროცესში ულტრაბგერითი პროცედურების ჩართვას, უპირატესად ფონოფორეზის პროცედურებს ანტიბიოტიკებითა და სხვა სამკურნალწამლო პრეპარატების გამოყენებით. მრავალი ლიტერატურული წყარო მიუთითებს, რომ ქრონიკული უროგენიტალური ინფექციის კომპლექსურ მკურნალობაში ფიზიოთერაპიული პროცედურების ჩართვა, აშკარა, დადებით შედეგებს იძლევა (5, 18, 112, 113, 169).

დიდი ხანია ცნობილია, რომ ულტრაბგერითი თერაპიის ძირითად დოზიმეტრულ პარამეტრებად ითვლება: სიმძლავრე, ინტენსივობა, რეჟიმი და ზემოქმედების ხანგრძლივობა.

ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მექანიზმის დროს, ულტრაბგერითი თერაპიისას, ძირითადი მნიშველობა აქვს მის მექანიკურ, სითბურ და ფიზიკურ-

ქიმიურ ფაქტორებს. მექანიკური ზეწოლა გამოიხატება, თავის მხრივ, “მიკრომასაჟით” უჯრედულ და სუბუჯრედულ დონეზე. ამასთან ერთად ხდება უჯრედების მემბრანების შეღწევადობის, ჰისტოჰემატური ბარიერის და კანის შიგნით შეღწევადობის გაზრდა. მნიშვნელობა აქვს ულტრაბგერის დეპოლიმერიზაციულ მოქმედებას ჰიალურონის მუავაზე. ხდება ელექტრო-კინეტიკური (ელექტრო-კაპილარული) მოვლენების აქტივაცია, რომლებიც აღინიშნება სხვადასხვა აკუსტიკური წინააღმდეგობის საზღვარზე, რასაც, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ფონოფორეზის ჩატარების დროს. ამ დროს ხდება აკუსტიკური მიკროსადინარების წარმოქმნა პროტოპლაზმაში, რასაც საბოლოო ჯამში მიყვარათ უჯრედის ელემენტებისა და უჯრედის ფუნქციონალური სტიმულაციისაკენ. ულტრაბგერის სითბური ფაქტორი დაკავშირებულია ულტრაბგერითი ტალღების ენერჯის გარდაქმნასთან სითბურ ეფექტად (90).

ულტრაბგერის სითბური მოქმედების დადებით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს დიფუზური პროცესებისა და ბიოქიმიური რეაქციების სიჩქარის შეცვლა დადებითი დინამიკით.

ულტრაბგერის პროცედურების ფიზიო-ქიმიური ფაქტორები გამოვლინდება ბიოქიმიური და ბიოფიზიკური პროცესების შეცვლით: თავისუფალი რადიკალების გენერაციით, ჟანგვა-აღდგენითი პროცესების აქტივაციით, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამომუშავებით (5, 12).

სამედიცინო ლიტერატურის მონაცემებით, სამკურნალო პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა სამკურნალო წამლო პრეპარატების ფონოფორეზმა (ულტრაფონოფორეზი), სამკურნალო საშუალებებისა და ულტრაბგერითი ტალღების ორგანიზმზე ერთდროულმა მოქმედებამ. ამ მიზნით დასხივება ტარდება საკონტაქტო უბნებში, სადაც ხდება სამკურნალო წამლო საშუალებების შეყვანა. ამასთან სამკურნალო წამლო პრეპარატმა უნდა შეინარჩუნოს ბიოლოგიური აქტივობა და სტრუქტურა, ხოლო მისი მოქმედება ულტრაბგერის მოქმედებასთან ერთად უნდა იყოს მიმართული, რაც განაპირობებს ორგანიზმზე მათი მოქმედების სინერჯიზმს. ამ დროს ლორწოვანი გარსიდან ხდება უფრო მეტი საშუალებების შეყვანა, ვიდრე კანიდან (5, 12).

ფონოფორეზის დროს მედიკამენტების ფარმაკოკინეტიკიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი აქტივობის მომატება და ორგანიზმში ხანგრძლივად შენარჩუნება, ასევე დასხივების ზონაში არსებულ ორგანოებსა და ქსოვილებში მათი შეღწევადობის გაზრდა.

ულტრაბგერა იწვევს ადგილობრივი და ზოგადი მეტაბოლური პროცესების, უჯრედული ელემენტების მემბრანული ტრანსპორტის, ქსოვილების ტროფიკის გააქტიურებას მათი სტრუქტურული დაზიანების გარეშე. ულტრაბგერა აჩქარებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, უმნიშველოდ აფართოებს სისხლძარღვებს და აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, დადებითად მოქმედებს მიკროცირკულაციაზე, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება (5, 6).

ფონოფორეზი (ულტრაფონოფორეზი) წარმოადგენს ულტრაბგერისა და წამლის ერთობლივი მოქმედების მეთოდს, რომლებიც ედება კანზე ან ლორწოვან გარსზე შესაბამის ადგილას. ამასთან მთავარი როლი ენიჭება ულტრაბგერის გამოყენებას და მის უნარს გააძლიეროს ორგანიზმში წამლის დიფუზური შეღწევადობა აბსორბციული თავისებურებების, ჟანგვა-აღდგენითი პროცესების, კანის განვლადობის, სისხლძარღვებისა და უჯრედული მემბრანის შეღწევადობის გაზრდის ხარჯზე (6,18, 24, 27).

ანტიბიოტიკების ფონოფორეზით მკურნალობის მეთოდი მოწოდებულია ქრონიკული პროსტატიტების კუპირებისთვის. ანტიბიოტიკებისა და ულტრაბგერის შეუღლებული გამოყენება რიგ შემთხვევაში სავსებით მიზანშეწონილია: მრავალი პრეპარატი მდგრადია დასხივების მიმართ, ხოლო მათი ანტიბაქტერიული აქტივობა ულტრაბგერის ზემოქმედებით იზრდება. რექტალური ფონოფორეზის დროს აღინიშნება ანტიბიოტიკების (ამპიცილინი, მონომიცილინი, ტეტრაციკლინი) შეღწევადობა წინამდებარე ჯირკვალში, რის შედეგადაც პროსტატის სეკრეტში მათი კონცენტრაცია აღწევს საკმარის ბაქტერიოსტატიკურ დოზას. ამავე დროს ბაქტერიული პროსტატიტების, სამკურნალოდ, ცნობილია, რომ ბაქტერიული პროსტატიტების მკურნალობის დროს, ანტიბიოტიკებით რექტალური გამორეცხვებისას (ულტრაბგერითი ზემოქმედების გარეშე) პროსტატის სეკრეტში მათი კონცენტრაცია საკმარისი არ არის (15, 17, 155). ფონოფორეზის უპირატესობას წარმოადგენს მისი მასტიმულირებელი მოქმედება სქესობრივ ფუნქციაზე და სპერმატოგენეზზე, აღნიშნულია გამოხატული ტკივილდამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. ჩატარებული კვლევების მიხედვით, რექტალური ფონოფორეზის შემდეგ ანტიბიოტიკების შემცველობა წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში ნელ-ნელა მატულობს და მაქსიმუმს აღწევს 2-3 სთ-ში. ამ პერიოდისთვის მათი კონცენტრაცია ათჯერ აღემატება ამ პრეპარატების მაქსიმალურ ბაქტერიოსტატიკურ დოზას. ასევე მათ დონეს კუნთში შეყვანის ან რექტალური გამორეცხვის შემდეგ. ულტრაბგერითი ზემოქმედების ფონზე წინამდებარე

ჯირკვლის არეში აღინიშნება ფიზიოლოგიური პროცესები, სისხლის მიმოქცევის და დრენაჟის გააქტიურება. ამასთან ულტრაფონოფორეზი ანტიბიოტიკებით აღმავალი თერაპიული კონცენტრაციის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა ქრონიკული პროსტატიტის არეში (141, 151, 157).

ურეთროპროსტატიტების მკურნალობის ფიზიკური მეთოდებიდან უფრო და უფრო აქტიურად გამოიყენება ლაზერული თერაპია, რომელიც ასევე იხმარება ანტიბიოტიკებთან ერთად კომპლექსში.

ლაზერული ენერჯია დასხივებისას იწვევს უჯრედული ელემენტების გააქტიურებას, აუმჯობესებს მიკროცირკულაციას, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო ეფექტი უჯრედული ინფილტრაციისა და ქსოვილების შეშუპების შემცირებით. იგი ასევე ასტიმულირებს რეგენერაციისა და იმუნოლოგიური დაცვის პროცესებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის მიკროფლორის აქტივობას ანტიბიოტიკების მიმართ. დაბალი დოზები ააქტიურებს ანტიოქსიდანტურ სისტემას (5, 21, 127).

ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მკურნალობის დროს გამოიყენება ელექტროსტიმულაცია. იმპულსების განსაზღვრული სიხშირის დროს იგი იწვევს უროგენიტალური სისტემის გლუვი კუნთების, მენჯის განივი კუნთების მოცულობის შემცირებას, რაც განაპირობებს წინამდებარე ჯირკვლის დრენირებას, ხელს უშლის იმპოტენციას, ხელს უწყობს სპერმატოგენეზის დინამიკურ გაუმჯობესებას (5, 10, 21).

ქრონიკული პროსტატიტის პათოგენეზიდან გამომდინარე დადებითი თერაპიული ეფექტი აქვს ინტერფერონით იმპულსირებას. ავადმყოფებს აღინიშნებათ ტკივილისა და დიზურიული სინდრომის კუპირება, ხდება სქესობრივი ფუნქციის გაუმჯობესება, პროსტატის სეკრეტის მიკროსკოპული მანვენებლების გაუმჯობესების ფონზე. მკურნალობის ეს მეთოდი ზრდის სისხლისმიმოქცევასა და კუნთების ტონუსს. შეიძლება იმპულსებით ვიმოქმედოთ, როგორც ადგილობრივად, ასევე ცენტრალურად (ტრანსცერებრალური მეთოდით) (21, 29, 33, 158).

უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიყენება ცვლადი დაბალსიხშირიანი მაგნიტური ველით ზემოქმედება. ასეთი ველის დამიზნებითი-მიზანმიმართული მოქმედება წინამდებარე ჯირკვალზე, მისი ქრონიკული ანთებისას, იწვევს დაავადების სიმპტომების გაქრობას და პროსტატის მორფო-ფუნქციონალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მკურნალობის დადებითი ეფექტი აღინიშნება მაგნიტოთერაპიასთან ერთად ანტიბიოტოპული საშუალებების გამოყენების დროს, ისეთ ავადმყოფებში რომლებსაც სხვადასხვა თანდაყოლილი ანომალიების შედეგად გააჩნიათ პროსტატის ჯირკვლის შეგუბებითი მოვლენები (5, 17).

1.11. ლიტერატურული მიმოხილვის დასკვნა

ჩვენ მიერ ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიოზით გამოწვეული ქრონიკული ურეთროპროსტატიტების მიმდინარეობის თავისებურებებისა და მკურნალობის შესწავლის დროს გაირკვა, რომ სამეცნიერო-სამედიცინო ლიტერატურაში არსებობს მრავალი გაუგებარი და ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტი. (72, 73, 77, 82, 162, 164).

ლიტერატურული მასალის გაცნობის დროს, მივედით დასკვნამდე, რომ აუცილებელია ამ დაავადების ლაბორატორული დიაგნოსტიკის მეთოდების დახვეწა, სრულყოფა და მისი კლინიკური ფორმების დეტალიზაცია (16, 23, 99).

საჭიროა, გაგრძელდეს ქლამიდიური ინფექციის საწინააღმდეგო მედიკამენტების ძიება, პირველ რიგში ანტიბიოტიკების ეფექტურობის გაზრდის მიზნით მეცნიერული მუშაობა. რადგან მათი როლი მნიშვნელოვანია მკურნალობის პროცესში, განსაკუთრებით თუ საქმე გვაქვს მიკრობთა ასოციაციებთან (42, 56, 73, 78, 79, 88, 102, 116, 125, 126, 140, 150, 152, 157, 163, 169).

ქრონიკული ინფექციური და არაინფექციური ურეთროპროსტატიტების პათოგენეზის შესწავლა და იმუნური დისფუნქციის უფრო სრულყოფილი განხილვა მოცემულ ავადმყოფებში, იმუნომასტიმულირებელი პრეპარატების დანიშნვის ფონზე გამოიწვევს მკურნალობის ეფექტურობის გაზრდას (35, 57, 91, 105).

რა თქმა უნდა მიზანშეწონილია ფიზიოთერაპიის მეთოდების გამოყენება, რომელთაგან საკმაოდ დიდი ეფექტურობით გამოირჩევა ფონოფორეზი ანტიბიოტიკებით, რომლის მაქსიმალური შესაძლებლობები ბოლომდე შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის (5, 112).

სადისერტაციო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კომპლექსურად გამოყენებულ იქნას ანტიბიოტიკები, იმუნომოდულატორები და ფიზიოთერაპია ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებული ურეთროპროსტატიტების სამკურნალოდ, ლიტერატურულ მიმოხილვაში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. ოპტიმალურად ეფექტური ანტიბიოტიკების ძიება;

2. იმუნური სტიმულაციისთვის პრეპარატების შერჩევა და გამოყენება მკურნალობის პროცესში ანტიმიკრობულ პრეპარატებთან ერთად;

3. შემუშავებულ იქნას მეთოდები, რომლებიც ფიზიოთერაპიულ მეთოდებზე დაყრდნობით გამოიწვევს სამკურნალო პრეპარატების კონცენტრაციის გაზრდას წინამდებარე ჯირკვლის ანთებით კერებში.

თავი 2. კვლევის მასალა და მეთოდები.

2.1 გამოკვლევის მეთოდები.

კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები ტარდებოდა ამბულატორიულ პირობებში.

გამოკვლევები ტარდებოდა კანისა და ვენ-სნეულებათა სკ ეროვნული ცენტრის ბაზაზე. შესწავლილი და სტატისტიკურად დამუშავებულია 9456 ამბულატორიული ბარათი, რომელთა შორისაც 6797 პაციენტს დაუდგინდა ესა თუ ის სქესობრივი გზით გადამდები დაავადება, რომელთა შორის უდიდესი ხვედრითი წილი მოდიოდა უროგენიტალურ ქლამიდიურ ინფექციაზე – 2954 შემთხვევა ($31,3 \pm 0,7\%$), პაციენტთა საერთო რაოდენობიდან.

ჩვენს სამეცნიერო კვლევაში ჩართვის კრიტერიუმს წარმოადგენდა ქლამიდიური ინფექციით ავადობა, გართულებული წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი პათოლოგიითა და ფერტილობის დარღვევით, რის მიხედვითაც შეირჩა 124 მამაკაცი, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის რისკ-ჯგუფის (სქესობრივი ქცევა) წარმომადგენლები, ნარკოტიკის ინტრავენული მომხმარებლები, თინეიჯერები და სხვა.

ყველა ავადმყოფს უტარდებოდა საყოველთაოდ მიღებული სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის სეროლოგიური ანალიზი სიფილისზე (RPR-ისა და TPHA-ს მეთოდების გამოყენებით), აგრეთვე გამოკვლევა აივ\შიდსზე სწრაფი, მარტივი მეთოდით.

ალიმენტური, მედიკამენტოზური, ან ადგილობრივი პროვოცირებიდან 12-24 საათის შემდეგ 5-7 საათის მოუშარდავ პაციენტებს უტარდებოდათ გამოკვლევები სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე - ურეთრის ნაცხის მიკროსკოპია, რომელიც ხდებოდა მათი გრამის მეთოდით, აგრეთვე მეთილენის ლურჯით შეღებვის შემდეგ, სადაც განისაზღვრებოდა ლეიკოციტების,

ეპითელური უჯრედების რაოდენობრივი მაჩვენებლები, გონოკოკური, ტრიქომონადული, გარდნერელოზური და სოკოვანი ინფექციების არსებობა; ქლამიდიური ინფექციის დიაგნოსტიკა ხდებოდა - ლუმინესცენტული მიკროსკოპი LW Scientific Product LN2100-ით, ფრანგული კომპანია BIO-RAD-ის მიერ წარმოებული Pathfinder Chlamidia trachomatis Direct Specimen Monoclonal Antibody 4.2 ml-ით, ნაცხის პირდაპირი იმუნოფლუორესცენტული მეთოდით, მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით. გამოიყენება ფლუორესცენტით მონიშნული მონოკლონური ანტისხეულები. ფლუორესცენტული მიკროსკოპით გასინჯვისას, ნიმუშები, რომლებიც შეიცავს Chlamydia trachomatis-ს, იძლევიან ფლუორესცენტული ელემენტარული სხეულაკების სპეციფიურ მწვავე ნათებას, თუ უროგენიტალურ პრეპარატში ფიქსირდება 5 და მეტი ელემენტარული სხეულაკი, შედეგი არის დადებითი. ხოლო რექტალურ, კონიუქტიურ და ნაზო-ფარინგულ ნაცხში ერთი ელემენტარული სხეულაკის აღმოჩენაც კი საკმარისია ჩაითვალოს დადებით შედეგად. უარყოფითად ითვლება ნაცხი, სადაც წარმოდგენილია არანაკლებ 5 უჯრედი ცილინდრული ეპითელიუმისა მხედველობის არეში და არ არის სპეციფიური ფლუორესცენცია.

Chlamydia trachomatis-ის აღმოსაჩენად, როგორც დამხმარე საშუალებას, ვიყენებდით იმუნოფერმენტულ მეთოდსაც, რომლის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: მყარფაზოვან მატარებელზე დამატებულ ანტიგენს ვუმატებთ პაციენტის შრატს, რომელშიც ანტისხეულების არსებობის შემთხვევაში ჩამოყალიბდება ანტიგენ-ანტისხეულების კომპლექსი. რეაქციის შედეგის გასაგებად გამოიყენება ანტისხეული ადამიანის კონიუგირებულ იმუნოგლობულინებთან ფერმენტული მარკერებით. დადებითი რეაქციების შემთხვევაში სისტემაზე დამატებული სუბსტრატი გვაძლევს სხვადასხვა ინტენსივობის ფერად შედეგას. ნიმუში ითვლება დადებითად, თუ აბსორბციის მნიშვნელობა არის 10%-ზე მაღალი ვიდრე cut-off, თუ აბსორბციის მნიშვნელობა არის 10%-ზე დაბალი, მაშინ უარყოფითია.

cut-off -ზე 10%-ით ზემოთ ან ქვემოთ მაჩვენებელი არ გვაძლევს საშუალებას, რომ გადაჭრით ვთქვათ, დადებითია თუ უარყოფითი ნიმუში. ეს არის უარყოფითი ზონა, საჭიროა გავიმეოროთ ტესტი 2-3 კვირის შემდეგ, ახალი ნიმუშებით. თუ მეორეც რუხ ზონაში მოხვდა, ესე იგი ტესტი უარყოფითია.

სადიაგნოსტიკოდ ვიყენებდით გერმანული კომპანია NovaTec Immunodiagnostica GmbH –ის ტესტ სისტემებს.

ტარდებოდა ბაქტერიოლოგიური კვლევა ურეთრალური ფლორის, ურეაპლაზმური ინფექციისა და გაზრდილი კულტურების ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობის განსაზღვრით. დათესვა წარმოებდა შტრისულად, სექტორულად ან თანაბარი განაწილებით მყარი საკვები ნიადაგის ზედაპირზე. ურეაპლაზმური ინფექციის დიაგნოსტიკისათვის ვიყენებდით თხიერ საკვებ ნიადაგს, ფერადი რეაქციის მეთოდით. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა ანაერობულ პირობებში, თერმოსტატში 37°C-ზე 24-48 საათის განმავლობაში. თითოეული კოლონიიდან კეთდებოდა ნაცხი, რომლის შეღებვა ხდებოდა გრამის მეთოდით. მიკროსკოპია ტარდებოდა სინათლის მიკროსკოპით, წარმოებდა მიკრობული უჯრედის ერთგავროვნების, ფორმის, ზომის, კოლონიების შემადგენლობის, შეფერილობის ინტენსივობის განსაზღვრა. მხოლოდ 15 და მეტი კოლონიის ზრდის შედეგად ვმსჯელობდით გაზრდილი მიკრობების ეტიოლოგიურ მნიშვნელობაზე.

ვატარებდით წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის ნატიური და გრამის წესით შეღებილი ნაცხის მიკროსკოპიას, რომლის დროსაც ისაზღვრებოდა ამილოიდების, ლიპოიდების, ლეიკოციტებისა და ეპითელური უჯრედების რაოდენობა, ბაქტერიული ფლორის (გონოკოკი, ტრიქომონა, გარდნარელა და სოკო) შემადგენლობა.

წინამდებარე ჯირკვლის გამოკვლევის დროს, პალპაციისას ყურადღება მახვილდებოდა მის ზომაზე, ზედაპირზე, ფორმაზე, საზღვრების მდგომარეობაზე, მგრძობიარობაზე და კონსისტენციაზე. ანთებითი პროცესის ეტიოლოგიის დასადგენად დამატებით ინფორმაციას გვაძლევდა პროსტატის წველის დათესვა და შარდის მესამე ულუფის ანალიზი, რომლისთვისაც გამოიყენებოდა ე.წ. 3 სინჯარის ცდა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა: ავადმყოფი სავსე შარდის ბუშტით სტერილურ სინჯარაში უშვებდა პირველ 10 მლ შარდს ("ა" პორცია), შემდეგ უშვებდა კიდევ 150-200 მლ-ს, მაგრამ არასრულად ჭინთავს შარდის ბუშტს და იღებდა კიდევ 10 მლ-ს, სტერილურ სინჯარაში ("ბ" პორცია). ამის შემდეგ ავადმყოფს უკეთდებოდა წინამდებარე ჯირკვლის მასაჟი, გროვდებოდა ექსპრიმატი და გამოშვებული შარდის პირველი 10 მლ ("გ" პორცია), რომლის მიკროსკოპირება ან დათესვაც ხდებოდა. სპერმისა და სხვა ანალიზების შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ვატარებდით უროფლურომეტრულ ანალიზს, კომპლექსური უროდინამიკური აპარატის **UROCAP III** -ის (Laborie-ს ფორმის) საშუალებით. აპარატი (სითბური პრინტერი) და მოსაშარდი დისკო (ძაბრის ფორმის) მოთავსებულია ერთი და იგივე ოთახში. მოშარდვის დაწყებისთანავე იწყება მონაცემთა ბეჭდვა და მოშარდვის

დამთავრებისას მთავრდება, პასუხი არის მომენტალურად. შესაძლებელია აპარატი დაშორებული იყოს დისკოსგან და იდგეს სხვა ოთახში, ხოლო მონაცემები მიიღოს პრინტერმა **Bluetooth** –ის საშუალებით.

აპარატის მოქმედების პრინციპი მდგომარეობს შარდის მიერ მბრუნავ დისკზე გადაცემული ენერგიის რეგისტრაციაში, კერძოდ, შარდი ეცემა დისკზე, რომელიც ბრუნავს ჰორიზონტალურ სიბრტყეში და ამუხრუჭებს მას. ბრუნვის სიჩქარის შესანარჩუნებლად ძრავას ესაჭიროება ენერგია, რომლის სიდიდეც პროპორციულია შარდის მოცულობითი სიჩქარისა. აღნიშნული მეთოდი ხასიათდება მაღალი სიზუსტით და არტეფაქტების დაბალი სიხშირით.

ჰიპერდიაგნოსტიკის თავიდან აცილების მიზნით დამატებით სეგდ-ის გამოკვლევა ხდებოდა პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით (PCR), რომელიც წარმოადგენს ენზიმატიურ (ფერმენტულ) პროცესს, რომლის შედეგადაც ერთეული უჯრედებიდან შეიძლება გამოიყოს დნმ და მრავალჯერადად გაგზარდოთ დნმ-ის ასლების რიცხვი.

დნმ-დიაგნოსტიკისთვის ვიყენებდით რეაგენტების ნაკრებს “ AMPLICORR Chlamydia trachomatis/Neisseria gonorrhoeae (CT/NG)” saxelwodebiT, წარმოებულს შვეიცარიული ფირმა “Roche“-ს მიერ. ანალიზის ყოველი ეტაპი კეთდება სხვადასხვა ოთახში (სამ ოთახში), რომელიც იზოლირებული უნდა იყოს გარეშე პირებისგან. ოთახი 30 წუთით ადრე სტერილიზდება ბაქტერიოციდული ლამპით, ასევე სტერილიზდება ბოქსები. დადებით შედეგად ითვლება აბსორბციის მაჩვენებელი $\geq 0,8$, უარყოფით შედეგად $< 0,2$.

ბაქტერიოლოგიური მეთოდით ვახდენდით M.hominis-ის დიაგნოსტიკას, რომლის გამოყოფისა და იდენტიფიკაციის პრინციპი დამოკიდებულია მის უნარზე მოახდინოს ამა თუ იმ ნივთიერების ჰიდროლიზი. ასევე M.hominis –ის საკვები ნიადაგის კულტივირების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მასში გლუკოზის არსებობა. M.hominis-ი შლის არგინინს და არ აჰიდროლიზებს გლუკოზას. ამ დროს წარმოიქმნება ამონიუმის იონი და მიმდინარეობს ნიადაგის გატუტიანება. აქედან გამომდინარე ნიადაგის მუავიანობის ინდიკატორი იცვლის ფერს (ყვითლიდან წითელზე), რაც გვაძლევს რეაქციის ვიზუალიზაციის საშუალებას. ყვითელი ფერის შემთხვევაში მიკოპლაზმა არ არის, ანუ პასუხი უარყოფითია, ხოლო წითელი ფერის შემთხვევაში - დადებითია.

M.hominis–ის კულტურალური გამოყოფისთვის ვიყენებდით დიაგნოსტიკუმს, რომელიც იწარმოება საფრანგეთში SANOFIN diagnostik Paster

(BIORAD), რომელიც საშუალებას იძლევა განსაზღვროთ მგრძობელობა ანტიბიოტიკების მიმართ.

მგრძობელობის განმსაზღვრელი ნაკრები BIORAD (mycoplasma DUO)-ს ფორმის, შეიცავს მიკროპლანშეტს სტერილურ პაკეტში, რომელიც შეიცავს 16 ნაჭდევეს, განლაგებულია ორ ზოლად და რვა ნაჭდევედ, რომლებშიც არიან მოთავსებულნი სხვადასხვა ანტიბიოტიკები მშრალი სახით. სტანდარტული ინოკულაციის დამატებით ისინი იხსნებიან საკვებ ნიადაგში. ანტიბიოტიკების კონცენტრაცია ისე არის შერჩეული, რომ შტამის მგრძობელობის პროფილი განისაზღვრებოდეს ყოველი ანტიბიოტიკისთვის შემდეგი სახით: მგრძობიარე, ზომიერად მგრძობიარე და რეზისტენტული (S-Sensitive, I-Intermediate, R-Resistant). M.hominis –ის აღმოჩენისას კულტურის ზრდა მიმდინარეობს +37°C-ზე.

პაციენტების შარდ-სასქესო სისტემის გამოკვლევა ტარდებოდა კომპლექსურად. პირველ ეტაპზე ხდებოდა წინამდებარე ჯირკვლის ტრანს-აბდომინალური გამოკვლევა. პროსტატის ჯირკვალს ნორმაში აქვს სამკუთხა ან ნახევარმთვარის ფორმა, ჯირკვლის კონტურები თანაბარია და მკაფიო. განივი განაკვეთი აბსოლუტურად სიმეტრიულია, განსაკუთრებით საგიტალურ ნაწილში. ჯირკვლის ექოსტრუქტურა განისაზღვრება ჯირკვლოვანი და ფიბრომატოზული ქსოვილის სიჭარბით. ჯირკვლის განაკვეთი იყოფა ორ ნაწილად: შინაგანი - ჰიპოექოგენური და გარეგანი - საშუალო ექოგენური, რომელსაც გააჩნია ერთგვაროვანი სტრუქტურა.

საესე შარდის ბუშტის მეთოდის გამოყენებით, პირველადი კვლევისას, ხდებოდა წინამდებარე ჯირკვლის საერთო მდგომარეობის შეფასება, შარდის ბუშტის დათვალიერება და ნარჩენი შარდის რაოდენობის განსაზღვრა. მეორე ეტაპზე ხდებოდა ტრანსრექტალური გამოკვლევა, რა დროსაც ხდებოდა პროსტატის ჯირკვლის ზომების, და მოცულობის განსაზღვრა და სტრუქტურული ცვლილებების დეტალური შესწავლა.

შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი პროცესების დიაგნოსტიკისათვის ვიყენებდით ულტრაბგერით გამოკვლევას. წინამდებარე და სათესლე ჯირკვლების, აგრეთვე მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ექოსკოპია ტარდებოდა PHILIPS IU_22 X MATRIX აპარატზე, სხვადასხვა გადამწოდით, ტრანსაბდომინალური და რექტალური მიდგომით. წინამდებარე ჯირკვლის ნორმალურ ზომებად თვლიდნენ: წინიდან-უკან 1,6-2,3 სმ, განივი – 2,7-4,3 სმ, კრანოკაუდალური 2,4-4,3 სმ. წინამდებარე ჯირკვლის მოცულობა, ნორმის შემთხვევაში, არ აღემატება 20 +/- 6 სმ.

ვახდენდით ეაკულატის ფიზიკურ-ქიმიურ, ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ ანალიზს. სპერმის გამოკვლევა ტარდებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით (165,167). თავშეკავება სქესობრივი ცხოვრებიდან სავალდებულო იყო 3-7 დღე, აგრეთვე მიზანშეწონილი იყო ალკოჰოლური სასმელისა და თამბაქოს შეზღუდვა. ანალიზის შეგროვება ხდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში, იზოლირებულ ოთახში. ისაზღვრებოდა სპერმის მოცულობა, ფერი, სუნი, სიბლანტე, pH, სრული გათხევადების დრო. მიკროსკოპირება წარმოებდა სინათლის მიკროსკოპით, გადიდება 120-დან (ობიექტივი - 8, ოკულარი - 15) 400-მდე (ობიექტივი - 40, ოკულარი - 10); გორიაევის კამერაში, რომლის მოცულობა ტოლი იყო 0,9 მკლ. აღირიცხებოდა სპერმატოზოიდების რაოდენობა მთელ ეაკულატში და 1 მლ-ში, მათ შორის მოძრავი სპერმატოზოიდების რაოდენობა, წინსვლითი და პათოლოგიურად მოძრავის გათვალისწინებით, გამოიანგარიშებოდა მოძრაობის კოეფიციენტი, ახალგაზრდა და პათოლოგიური ფორმების რაოდენობა, პათოლოგიის შემთხვევაში ეაკულატის ნაცხში, რომელიც იღებებოდა რომანოვსკის მეთოდით, აღირიცხებოდა პათოლოგიის ფორმა – აკროსომის, ყელისა თუ კუდის არეში. გარდა ამისა ისაზღვრებოდა სპერმატოგენეზის უჯრედები, ლეიკოციტების, ერითროციტების, ეპითელური უჯრედების, ლეციტინის მარცვლების, ამილოიდური სხეულაკების, ბესტერის კრისტალების, მიკროფლორის შემცველობა, ოქსიგენაცია, სპერმაგლუტინაციის არსებობა. სპერმატოზოიდების მოძრაობის ზუსტი შეფასებისათვის ხდებოდა აქტიურად მოძრავი, პასიურად მოძრავი და უმოძრავი სპერმატოზოიდების პროცენტული რაოდენობის განსაზღვრა 1 საათის, 2 საათის, 6 საათისა და 24 საათის შემდეგ.

(CD3, CD4, CD8) ლიმფოციტების ფენოტიპური დახასიათება ხდებოდა მონოკლონური ანტისხეულების და “Becton-Dichinson” (აშშ) ფირმის გამდინარე ციტოფლუორომეტრიის გამოყენებით. ლიმფოციტების გამოყოფას ვახდენდით ჰეპარინიზირებული სისხლიდან ფიკოლვეროგრაფინის გრადიენტზე. ჩამორეცხვის შემდეგ ახდენდნენ ლიმფოციტების ინკუბირებას მონოკლონურ ანტისხეულებთან ერთად 30წთ-ის მანძილზე, შემდეგ მონონუკლეარულ უჯრედებს ორჯერ ჩამორეცხავდნენ ფოსფატის ბუფერით და ახდენდნენ უჯრედების ინკუბაციას. უჯრედების ორჯერადი ჩამორეცხვის შემდეგ ატარებდნენ მათ ანალიზს გამდინარე ციტოფლუორომეტრით „Facsan”.

G, A და M კლასის იმუნოგლობულინების კონცენტრაციის განსაზღვრა ხდებოდა არაფელომეტრული მეთოდით დიაგნოსტიკური კომპლექტებისა და

ფირმა „Abbott“-ის (აშშ) TDX აპარატის გამოყენებით, ასევე სტანდარტული რადიალური იმუნოდიფუზიის მეთოდით, პრეციპიტაციის რგოლის დიამეტრის გაზომვით, რომელიც ჩნდებოდა საკვლევი შრატის შეტანისას აგარის ფენაში გამოჭრილ ღრმულებში, სადაც წინასწარ იყო დისპერგირებული მონოსპეციფიკური შრატი. IgG-ს და IgA-ს შესაბამისი პრეციპიტაციის რგოლების დიამეტრების გაზომვას აწარმოებდნენ 24სთ-ის გასვლის შემდეგ, ხოლო IgM-ის – 48სთ-ის შემდეგ.

2.2. მკურნალობის მეთოდები

მკურნალობა ჩატარდა ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებული, ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებულ 124 პაციენტს. სამკურნალო მეთოდის ხასიათის მიხედვით პაციენტები გაყოფილი იყო 3 ჯგუფად, მათი შერჩევა ხდებოდა ერთნაირი კლინიკო-ლაბორატორიული სიმპტომების მიხედვით, აგრეთვე მკურნალობის მეთოდის შერჩევაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა პაციენტის ინფორმაციული (ხელმოწერით დადასტურებული) თანხმობა მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებაზე, რასაც მოქმედი კანონმდებლობაც ითვალისწინებს.

I ჯგუფი (45 ავადმყოფი) - ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა მხოლოდ ანტიბაქტერიული პრეპარატებით.

II ჯგუფი (41 ავადმყოფი) – ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა ანტიბიოტიკით, იმუნომოდულატორ – ნეოვირით და ფიზიოთერაპიული მეთოდის გამოყენებით.

III ჯგუფი (38 ავადმყოფი) – ქრონიკული ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა ანტიბაქტერიული პრეპარატებით, იმუნომოდულატორ – ნეოვირით.

პირველი ჯგუფის პაციენტების მკურნალობას ვახდენდით ანტიბიოტიკის per os მიღებით, მგრძნობელობის გათვალისწინებით, 8-10 დღის განმავლობაში, ვინაიდან საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით უროგენიტალური ქლამიდიოზი მკურნალობის ხანგრძლივობა მერყეობს 1 დღიდან 10 დღემდე (ანტიბაქტერიული საშუალებების ჯგუფის მიხედვით), ხოლო თანდართული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის მკურნალობა კი ითვალისწინებს ანტიბიოტიკის მიღებას არანაკლებ 4 კვირისა.


მეორე ჯგუფის პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობდა შემდეგნაირად: მკურნალობას ვიწყებდით ინექციებით იმუნომოდულატორი – ნეოვირი 12,5% - 2 მლ (250 მკ) X 1 ამჟამად დღეში ინტრამუსკულარულად 48 სთ-ში ერთხელ, სულ 10 ინექცია. მეხუთე ინექციის მერე ვუნიშნავდით რომელიმე ჯგუფის ანტიბიოტიკს per os, მგრძობელობის მიხედვით 8-10 დღის განმავლობაში, ანტიბაქტერიული საშუალებების ჩართვიდან მეორე დღეს ვიწყებდით ფიზიოთერაპიულ პროცედურებს აპარატ “ярило–синхро“-ს მეშვეობით, რომელიც პროსტატის ჯირკვალზე მოქმედებს კომპლექსურად, სამტალღოვანი ლაზერისა და ელექტრონული ბიპოლარული სტიმულაციის იმპულსებით. შესაძლებელია კომბინირებული არხების ურთიერთქმედება (იხილეთ სურათი №1, სქემა №1, სქემა №2, სქემა №3 აპარატის მოქმედების ზონები და უბნები), ასევე აპარატის რეჟიმისა და აგზნების სპექტრის არჩევა. კომბინირებული ლაზერი მოქმედებს ქსოვილების ღრმა შრეებში, რაც უზრუნველყოფს დაავადებული უბნების გამოჯანმრთელებას. ლაზერული აგზნების სინქრონიზაცია და ელექტრული სტიმულაცია, პაციენტის პულსთან ერთად, იწვევს სინერგიულ ბიორეზონანსულ ეფექტს, რისთვისაც საკმარისია სუსტი, ორგანიზმისთვის კომფორტული, აგზნება, რომელიც მსგავსი იქნება პროსტატის ჯირკვალში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების.

თითოეული პაციენტისათვის ვარჩევდით ფიზიოთერაპიის ინდივიდუალურ სქემას და პროცედურების რაოდენობას (მინიმალური 6 პროცედურა, მაგრამ არაუმეტეს 12), რაც დამოკიდებული იყო ანთებითი პროცესის ხანგრძლივობაზე და პაციენტის ზოგად მდგომარეობაზე.


ფიზიოთერაპიული აპარატი “ярило – синхро”




ფიზიოთერაპიული აპარატ “ярило – синхро”-ს მოქმედების სქემა №1



ფიზიოთერაპიული აპარატ “Ярило – синхро”-ს მოქმედების სქემა №2



ფიზიოთერაპიული აპარატ “Ярило – синхро”-ს მოქმედების სქემა №3



პროცედურის ხანგრძლივობა არის 12 წუთი. პაციენტი არის მოთავსებული ურო-გინეკოლოგიურ სავარძელში, ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში.

აუცილებელია :

1. დაინიშნოს პროცედურის დრო წამზომზე +,- დილაკზე ხელის დაჭერით.
2. მოვათავსოთ ელექტროდი (მისი მდებარეობა დამოკიდებულია კლინიკურ სიმპტომებზე, წამყვან სინდრომზე და პაციენტის მკურნალობის დინამიკაზე): - გავა-წელის მიდამოში; ბოქვენზე; შორისის მიდამოში.

თუ ელექტროდი (ფირფიტა) მოთავსებულია ბოქვენზე - მიმდინარეობს მოქმედება წინამდებარე ჯირკვალზე და შარდის ბუშტის წინა ზედა ნაწილზე, ამით ხდება შარდის ბუშტის გლუვი კუნთების ტონუსის აღდგენა; თუ ელექტროდი მდებარეობს შორისის მიდამოში - ზემოქმედება ხდება შორისის და მენჯის ფსკერის განივზოლიან კუნთებზე, უმჯობესდება არა მარტო წინამდებარე ჯირკვლის, არამედ მის გარშემო არის სისხლმომარაგება. გლუვი კუნთებისა და სწორი ნაწლავის ტონუსის აღდგენის ხარჯზე იოლდება მსხვილი ნაწლავის ქვედა ნაწილის დაცლა და უმჯობესდება დეფეკაცია. ელექტროდის გავა-წელის არეში განთავსება უშუალო გავლენას ახდენს წინამდებარე ჯირკვალზე, ეს არის ძირითადი მდებარეობა.

ასოს თავი უნდა გათავისუფლდეს ჩუჩისაგან, მარცხენა მტევნის მე-3 მე-4 თითებს შორის მოვათავსოთ სასქესო ასო და მარჯვენა ხელით ტრანსურეტრალურად ფრთხილად შევიყვანოთ კათეტერი, რომელშიც ერთდროულად მდებარეობს გელი-ნეონის ლაზერი, სტერილური კათეტერი შეგვყავს საშარდე მილში შარდის ბუშტის გარე სფინქტერამდე.

კათეტერი უნდა იქნას წინასწარ სტერილურად დამუშავებული ქაცვის ან ასკილის ზეთით. შუქგამტარი არ უნდა გაცდეს კათეტერის დისტალურ დაბოლოებას, კათეტერი უერთდება ელექტროსტიმულატორის კაბელს მომჭერის საშუალებით.

მესამე ჯგუფის პაციენტების მკურნალობა მიმდინარეობდა ისევე, როგორც II ჯგუფის ავადმყოფების, გარდა ფიზიოთერაპიული პროცედურებისა, შემდეგი სქემის მიხედვით: მკურნალობას ვიწყებდით ინექციებით იმუნომოდულატორი – ნეოვირი 12,5% - 2 მლ (250 მგ) X 1 ამჟამად დღეში ინტრამუსკულარულად 48 სთ-ში ერთხელ, სულ 10 ინექცია. მეხუთე ინექციის მერე ვუნიშნავდით

რომელიმე ჯგუფის ანტიბიოტიკს per os, მგრძნობელობის მიხედვით 8-10 დღის განმავლობაში,

სამივე ჯგუფის პაციენტებს, ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ, ენიშნებოდათ ანტიმიკოზური პრეპარატები (ფლუკონაზოლი). 150 მგ. მკურნალობის ბოლო დღეს და 150 მგ. მე-7 დღეს. მკურნალობისთვის გამოიყენებოდა შემდეგი ჯგუფის ანტიბიოტიკები: ტეტრაციკლინი (დოქსიციკლინი, ვიბრამიცილი) და მაკროლიდები (სუმამედი, რალიდი, ვილპრაფენი) და სხვა.

მკურნალობის ეფექტურობა ფასდებოდა ძირითადი კლინიკო-ლაბორატორიული და ფუნქციონალური მაჩვენებლების მიხედვით მკურნალობამდე და მის შემდეგ.

მიღებული შედეგები და ციფრული მასალა დაექვემდებარა ავტომატურ სტატისტიკურ ანალიზს სპეციალური პროგრამის გამოყენებით: GraphPad Prism (სან დიეგო, კალიფორნია, აშშ). შედეგები გამოისახა როგორც საშუალო \pm საშუალო სტანდარტული ცდომილება. სტატისტიკური ანალიზისათვის არა - პარამეტრული მან-ვიტნის U ტესტი იქნა გამოყენებული. რიგ შემთხვევებში გამოყენებული იქნა ვარიაციულობის სტატისტიკური ანალიზი (ANOVA). მნიშვნელოვნობა განისაზღვრა როგორც $p < 0.05$.

თავი 3. კლინიკური მასალის ზოგადი დახასიათება


2010-2013 წლებში, კანისა და ვენსნეულეხათა სსკ ეროვნული ცენტრის ანდროლოგიურ დეპარტამენტში კომპლექსური კლინიკო-ლაბორატორული გამოკვლევა და მკურნალობა ჩაიტარა 20-დან 50 წლამდე ასაკის 124 ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულმა მამაკაცმა. მკურნალობის შემდგომ პაციენტები იმყოფებოდნენ დაკვირვების ქვეშ. იხილეთ ავადმყოფთა განაწილება ასაკის მიხედვით.

ავადმყოფების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ავადმყოფთა ასაკი	ავადმყოფთა რიცხვი	
	რიცხვებში	პროცენტებში
20 დან – 25 მდე	18	14,5
26 დან – 30 მდე	26	20,9
31 დან – 35 მდე	31	25,0
36 დან – 40 მდე	22	17,7
41 დან – 45 მდე	15	12,1
46 დან – 50 მდე	12	9,8
სულ	124	100,0

დიაგრამა №1

ავადმყოფთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



კვლევებიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ დაავადებულ მამაკაცთა მაქსიმალური რაოდენობა მოდის 26-40 წწ. ასაკობრივ ჯგუფში და მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 79 (63,7%)-ს

სრულყოფილი ანამნეზური მონაცემების შეგროვების შემდეგ დავადგინეთ, რომ პაციენტების დაავადების ხანგრძლივობა მერყეობდა 3 თვიდან 10 წლამდე. მონაცემები იხილეთ ცხრილი №2-ში.

ავადმყოფების განაწილება დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით

დაავადების ხანგრძლივობა	ავადმყოფთა რაოდენობა	
	რიცხვებში	პროცენტებში
1 წლამდე	9	7,2%
2 წლამდე	34	27,4%
3 წლამდე	39	31,4%
5 წლამდე	27	21,8%
7 წლამდე	10	8,1%
10 წლამდე	5	4,1%
სულ	124	100,0

ცხრილი №2-დან კარგად ჩანს, რომ ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტის მიმდინარეობის ხანგრძლივობა შემთხვევათა უმეტეს ნაწილში იყო 2-დან 5 წლამდე, რაც წარმოადგენს გამოკვლეულთა 53,2%-ს (66 პაციენტი). ყოველივე ზემოთ თქმული მეტყველებს იმაზე, რომ ქლამიდიური ეტიოლოგიით განპირობებული ქრონიკული ურეთროპროსტატიტის დიაგნოსტიკა დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რაც განპირობებული უნდა იყოს ლაბორატორული კვლევის არასრულყოფილი მეთოდებით.

53 (42,7%) მამაკაცი ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტზე მკურნალობას ადრე იტარებდა სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, მაგრამ მათ მკურნალობას დადებითი ეფექტი არ მოჰყოლია. ყველა მათგანი იტარებდა ანტიბაქტერიულ თერაპიას, 27 ავადმყოფი გადიოდა ფიზიოთერაპიულ მკურნალობას (ულტრაბგერით, ლაზერული, ტალახის და სხვა სახის პროცედურებით).

22 პაციენტს (17,8%) ყოველგვარი გამოკვლევების გარეშე ჩატარებული ჰქონდა თვითმკურნალობა, მეგობრის, ნათესავის, ფარმაცევტის რჩევით, ან სატელეფონო თუ რადიო რეკლამის ზეგავლენით.

19-მა ავადმყოფმა (15,3%) მკურნალობა ჩაიტარა გინეკოლოგის, ან რეპროდუქტოლოგის ზეპირი დანიშნულების მიხედვით, მეუღლის ლაბორატორული კვლევების საფუძველზე.

30 მამაკაცს (24,2%) ადრე სამედიცინო დაწესებულებისათვის არ მიუმართავს და რაიმე სახის მკურნალობა არ ჩაუტარებია.

დავადგინეთ, რომ ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტი კლინიკურად ვლინდება შემდეგი სიმპტომებით: ტკივილი, დიზურია, ასთენონევროზული სინდრომი და კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი, რაც მოცემულია ცხრილებში №3 - №6

ცხრილი №3

ტკივილის სინდრომი

ტკივილის სინდრომის გამოვლინება	ავადმყოფთა რიცხვი	
	რიცხვებში	პროცენტებში
შორისის ტკივილი	57	45,9
ტკივილი მუცლის ქვემოთ	52	41,9
ტკივილი ურეთრაში	34	27,4
გავის ტკივილი	28	22,6

ცხრილი №4

დიზურიული სინდრომი

დიზურიული სინდრომის გამოვლინებები	ავადმყოფთა რიცხვი	
	რიცხვებში	პროცენტებში
პოლაკიურია	63	50,8
ნიქტურია	56	45,2
შარდვის გაძნელება	38	30,6
წვა ურეთრაში	34	27,4
შარდის მდორე ნაკადი	29	23,4

**ასთენოვეროზული სინდრომი ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის
ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში**

ასთენოვეროზული სინდრომის გამოვლინებები	ავადმყოფთა რიცხვი	
	რიცხვებში	პროცენტებში
სისუსტე	45	36,3
დაღლილობის მომატება	41	33,1
გალიზიანებლობა	35	28,2
ძილის მოშლა	30	24,2

**კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი ქრონიკული ქლამიდიური
ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში**

კოპულაციური დისფუნქციის გამოვლინებები	ავადმყოფთა რიცხვი	
	რიცხვებში	პროცენტებში
ლიბიდოს შემცირება	32	25,8
ერექციის მოშლა	37	29,8
ნაადრევი ეაკულაცია	27	21,7
უსიამოვნო შეგრძნებები სპერმის გამოყოფის დროს	24	19,3

წინამდებარე ჯირკვლის რექტალური, მანუალური, კვლევის დროს 72 (58,1%) ავადმყოფს აღენიშნებოდა მტკივნეულობა, 67(54,6%) ავადმყოფს წინამდებარე ჯირკვლის ზომების მატება, 63(50,8%)-პასტოზურობა, 24(19,3%)-ს წინამდებარე ჯირკვლის არაერთგვაროვანი სტრუქტურა.

ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულთაგან, მხოლოდ მცირე ნაწილს აღენიშნებოდა სხვა თანამდევი უროლოგიური დაავადებები. მათ შორის - 24 (19,4%) ავადმყოფს დაუდგინდა შარდკენჭოვანი დაავადება, 6-ს (4,8%) ქრონიკული

პიელონეფრიტი, 32–ს (25,8%) თირკმლის ცისტა, 4 ავადმყოფს (3,2%) კი მარცხენამხრივი ვარიკოცელე. არცერთ მამაკაცს არ დაუდგინდა წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია.

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების კომპლექსური გამოკვლევის დროს დადგენილ იქნა სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების თანმხლები დაავადებები - სასუნთქი ორგანოების სისტემიდან – ბრონქიტით იყო ავად 5 (4,0%) პაციენტი. გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებები გამოხატული იყო შედარებით უმნიშვნელოდ - ტაქიკარდია (გულის შეკუმშვათა რიცხვი 90-120 წთ-ში) აღენიშნებოდა 9 (7,3%) ავადმყოფს. არტერიული წნევა ავადმყოფთა უმრავლესობაში მერყეობდა ნორმის ფარგლებში (110-140 / 70-90 მმ ვ.წ.ს.). 6 (4,8%) ავადმყოფს აღენიშნა არტერიული წნევის მატება 150-160 / 95-100 მმ.ვ.წ.ს.), 4 (3,2%) ავადმყოფს განუვითარდა არტერიული ჰიპოტენზია (90-100 / 60-65 მმ.ვ.წ.ს.), 7 (5,6%) აღენიშნებოდა გულის იშემიური ხასიათის ტკივილი. საჭმლის მომნელებელი ორგანოების სისტემის გამოკვლევისას 15 (12,1%) ავადმყოფს დაუდგინდა კუჭის წყლულოვანი დაავადება; 6 (4,8%) პაციენტს - თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება; 3 (2,4%)-ს - ქრონიკული არაკალკულოზური ქოლეცისტიტი, 4 (3,2%) პაციენტს კი გამოუვლინდა ჰემოროიდული ვენების გაგანიერება.

გამოკვლეული პაციენტებიდან არც ერთს არ დაუდგინდა მწვავე ან გამწვავებული თანამდევი დაავადებები. სისხლის კლინიკური ანალიზი ნორმაში ჰქონდა 116 (93,5%) ავადმყოფს, 5 (4,0%) პაციენტს აღენიშნებოდა ლეიკოციტოზი 9,2X10⁹/ლ-დან 10,5 X 10⁹/ლ-მდე, ლეიკოციტარული ფორმულის ცვლილების გარეშე; 6 (4,8%) ავადმყოფს აღენიშნებოდა ედს-ის მომატება (19-დან – 23 მმ/სთ-მდე).

ადგილობრივი ხასიათის კლინიკური სიმპტომებიდან აღსანიშნავია, რომ პაციენტებს აღენიშნებოდათ უმნიშვნელო ხასიათის გამონადენი ურეთრიდან, რომელიც ლორწოვანი, ლორწოვან-ჩირქოვანი ან ჩირქოვანი ხასიათის იყო, სასქესო ასოს თავის ჰიპერემია, სმეგმის ჰიპერსეკრეცია და სპეციფიური სუნი, მოშარდვის აქტის დეზორგანიზება, რაც გამოიხატება ხშირი, არასრული და მცირე ულუფებით შარდვაში.

სინათლის მიკროსკოპით ჩატარებული ბაქტერიოსკოპული კვლევებით დადგინდა, რომ გამოკვლეული პაციენტებიდან 56 (45,2%)-ს ურეთრის გამონაყოფში დაუდგინდა ლეიკოციტების რაოდენობის მომატება 16,9+2,1-მდე

მხედველობის არეში; ხოლო 63 (50,8%) ავადმყოფს აღენიშნებოდა ლეიკოციტების რიცხვის მომატება 28+2,1-მდე.

ერითროციტების რაოდენობის მატება ურეთრის გამონაყოფში 5,1 + 0,2 – მდე აღენიშნებოდა 8 (6,4%) ავადმყოფს. ხოლო 12 (9,7%) ავადმყოფს წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტში 7,2 + 0,3-მდე (ნორმა 0,1 მ/ა);

ლეციტინის მარცვლების რაოდენობა შემცირებული იყო ჯირკვლის სეკრეტში 67 (54,0%) პაციენტში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებს აღენიშნებათ წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტსა და ურეთრის გამონაყოფში ლეიკოციტების რაოდენობის მატება, ხოლო პროსტატის ჯირკვლის სეკრეტში ლეციტინის მარცვლების რაოდენობის შემცირება. ყოველი ეს ცვლილება კი მიუთითებს წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციის მოშლაზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 68 (54,8%) ავადმყოფს ურეთრალურ ნაცხში და 61 (49,2%) ავადმყოფს პროსტატის ჯირკვლის სეკრეტში არ აღენიშნათ ლეიკოციტების რაოდენობის მომატება, ან ლეიკოციტური რეაქცია გამოხატული იყო უმნიშვნელოდ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ხანგრძლივად მიმდინარე ქლამიდიური ინფექციის დროს მაკროორგანიზმის რეაქტიულობა მცირდება, რომელიც განაპირობებს არასრულფასოვან, სუსტად გამოხატულ, საპასუხო რეაქციას გამომწვევზე.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებული პაციენტების გამოკვლევამ ცხადყო, რომ აღინიშნება იმუნური სისტემის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გამოწვეულია დაავადების ხანგრძლივი მიმდინარეობით და უროგენიტალური ქლამიდიური ინფექციის განსაკუთრებული უნართ, იმოქმედოს მამაკაცის ორგანიზმის იმუნოლოგიურ რეაქციებზე.

ავადმყოფების სისხლში სხვადასხვა იმუნოლოგიური პარამეტრების კვლევამ გვიჩვენა, რომ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ქრონიკული უროგენიტალური ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულთა იმუნოლოგიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილი №7, ცხრილი №8 და ცხრილი №9,

სისხლში იმუნოგლობულინების შემცველობა

იმუნოგლობულინები	ნორმის საშუალო მაჩვენებლები	ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების იმუნოგლობულინები	P
IgG	15,7 ± 1,3 გ/ლ	16,3±1,7	>0,1
IgA	2,73 ± 0,1 გ/ლ	4,3±0,8	<0,05
IgM	1,81 ± 0,2 გ/ლ	3,9±0,4	>0,05

როგორც ცხრილიდან ჩანს, პაციენტებს იმუნოგლობულინების საშუალო მაჩვენებლები ჰქონდათ ნორმის ფარგლებში, აღენიშნებოდათ მხოლოდ იმუნოგლობულინ A-ს მაჩვენებლების მომატება.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულების

სისხლში T და B – ლიმფოციტების მაჩვენებლები

მკურნალობამდე M±m. n=124

T-ლიმფოციტების ნორმის საშუალო მაჩვენებლები	ქრონიკული ქლამიდიური ეთიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულების T-ლიმფოციტების მაჩვენებლები	P
65,1 ± 3,2% ————— 1578,2 ± 27,1 კლ/მკლ	რიცხვებში 1152,2 ± 16,2	პროცენტებში 52,4±2,4
		<0,001
B-ლიმფოციტების ნორმის საშუალო მაჩვენებლები	ქრონიკული ქლამიდიური ეთიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულების B-ლიმფოციტების მაჩვენებლები	P
9,3 ± 1,7% ————— 254,1 ± 17,3 კლ/მკლ	რიცხვებში 205,4 ± 17,1	პროცენტებში 7,2±1,1
		>0,1

ცხრილიდან ჩანს, რომ ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ მამაკაცებს აღენიშნებოდათ T- ლიმფოციტების საშუალო

მაჩვენებლის კლება, ხოლო 48 (38,7%) ავადმყოფს T-ლიმფოციტები დაუდგინდა ნორმის ფარგლებში, საშუალოდ 1464,8 + 21,7 კლ/მკლ (52,1+2,5%). პაციენტებში T-ლიმფოციტების რაოდენობის მატება არ აღინიშნებოდა. რაც შეეხება B-ლიმფოციტებს, მათი საშუალო მაჩვენებლები სისხლში რჩებოდა ნორმის ფარგლებში. 43 (34,7%) პაციენტს აღენიშნებოდა B-ლიმფოციტების რიცხვის შემცირება საშუალოდ 176,4+12,3 კლ/მკლ (4,1+1,9%) (p > 0,01). დაავადებულ მამაკაცებს B-ლიმფოციტების რიცხვის მომატება არ აღინიშნებოდა.

მიღებული შედეგების გაანალიზებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ პაციენტების სისხლში T-ლიმფოციტების საშუალო რაოდენობა იყო დაქვეითებული. აგრეთვე დადგინდა, რომ ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატში T-ლიმფოციტების არსებობა დაკავშირებულია დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობასთან. აღსანიშნავია, რომ დაავადების ადრეულ სტადიაზე T-ლიმფოციტები ნორმის ფარგლებშია, ხოლო ინფექციურ-ანთებითი პათოლოგიის უფრო ხანგრძლივი მიმდინარეობისას კი აღინიშნებოდა ლიმფოპენია. პაციენტთა უმრავლესობაში დაავადება მიმდინარეობდა ხანგრძლივად, რითაც აიხსნება სისხლში T-ლიმფოციტების დონის დაქვეითება

ცხრილი №9

სისხლში T-ჰელპერებისა და T-სუპრესორების შემცველობის მაჩვენებლები მკურნალობამდე M±m. n=124

T-ჰელპერების (CD4)ნორმის საშუალო მაჩვენებლები	ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულების T- ჰელპერების (CD4) მაჩვენებლები		P
45,5 ± 2,3% ————— 1121,2 ± 16,4 კლ/მკლ	რიცხვებში 637,3 ± 17,8	პროცენტებში 23,4±3,5	<0,001
T-სუპრესორების (CD8)ნორმის საშუალო მაჩვენებლები	ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულების T-სუპრესორების (CD8) მაჩვენებლები		P
24,2 ± 1,8% ————— 490,4 ± 11,6 კლ/მკლ	რიცხვებში 518,4 ± 17,2	პროცენტებში 28,3±1,2	>0,1

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტით დაავადებულებს აღენიშნებათ T-ჰელპერების მაჩვენებლების კლება. 26 (20,9%) მამაკაცს T-ჰელპერების შემცველობა სისხლის შრატში დაუდგინდა ნორმის ზღვარზე, საშუალოდ 1117,8+15,5 კლ/მკლ (38,1+4,5%). არცერთ მამაკაცს T-ჰელპერების დონის მატება არ აღენიშნებოდა. T-სუპრესორების რაოდენობრივი მაჩვენებლები ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულ პაციენტებში მერყეობდა ნორმის ფარგლებში. 22 (17,7%) ავადმყოფს T-სუპრესორების რიცხვი მომატებული ჰქონდა საშუალოდ 631,5+14,3 კლ/მკლ (32,1+1,2%) ($p > 0,01$). დაავადებულ მამაკაცებს სისხლის შრატში T-სუპრესორების რიცხვის შემცირება არ აღენიშნებოდა. ცხრილიდან ჩანს, რომ ქრონიკული ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტით დაავადებულებს აღენიშნებათ იმუნური სისტემის ცვლილებები, რაც ძირითადად გამოიხატება T-უჯრედული რგოლის დაზიანებით. ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტებით დაავადებულებში, მკურნალობამდე T-ლიმფოციტების დონე დაქვეითებულია, ძირითადად T-ჰელპერების სუბპოპულაციის ხარჯზე. ხოლო T-სუპრესორები ძირითადად რჩებიან ნორმის ფარგლებში, თუმცა მათ ახასიათებთ ზრდის ტენდენცია. შესაბამისად წარმოიქმნება T-ჰელპერებსა და T-სუპრესორებს შორის დისბალანსი. პაციენტებს ქრონიკული ქლამიდიური გენეზის ურეთროპროსტატიტით, სისხლის შრატში B-ლიმფოციტები რაოდენობრივი მაჩვენებლები აღენიშნებათ ნორმის ფარგლებში, თუმცა აქაც შეინიშნება ტენდენცია მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების კლებისკენ.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტებით დაავადებულებში მკურნალობამდე G და M იმუნოგლობულინების დონე მერყეობდა ნორმის ფარგლებში, აღინიშნება მხოლოდ A იმუნოგლობულინის მატება, რაც დაკავშირებულია ორგანიზმში ინფექციის პერსისტირებასთან.

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის დროს გამოვლინდა წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურული ცვლილებები - ულტრაბგერითი კვლევა ჩაუტარდა 124 პაციენტს, რექტალური და აბდომინალური გადამწოდების საშუალებით. წინამდებარე ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევის დროს ხდებოდა მისი მორფო-ფუნქციონალური და ანატომიური შეფასება, მისი აკუსტიკური სიმკვრივის ცვლილებისა და ზომების დადგენა. ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის დროს

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებს მკურნალობამდე აღენიშნებოდათ შემდეგი ცვლილებები: 47 (37,9%) პაციენტს აღენიშნებოდა წინამდებარე ჯირკვლის არაერთგვაროვანი სტრუქტურა, მცირე ზომის მაღალი (უჯრედული ინფილტრაციის უბანი) და დაბალი (ანთებითი შეშუპების ზომა) ექოგენობის უბნების მონაცვლეობით. 45 (36,3%) პაციენტს აღმოაჩნდა ექოგენობის დიფუზური მატება, რაც განპირობებული იყო უჯრედული ინფილტრაციისა და სკლეროზული ცვლილებებით, 32 (25,8%) პაციენტის ჯირკვლის ექოსტრუქტურა იყო პრაქტიკულად შეუცვლელი - ნორმალური. 67 (54,0%) პაციენტს აღენიშნა პროსტატის ჯირკვლის მოცულობის ზრდა (20 სმ³ მეტი). ჯირკვლის კონტური 43 (34,7%) პაციენტში იყო დაკბილული (ფიბროზული შეხორცებების ხარჯზე). 16 (12,9%) ავადმყოფს აღენიშნა ნარჩენი შარდის მომატება.

შარდ-სასქესო სისტემის ქლამიდიური ინფექციის გამომწვევები წარმოადგენენ უმოძრაო, კოკებისმაგვარ, გრამუარყოფით შიგაუჯრედულ ობლიგატურ მიკროორგანიზმებს. მათ დნმ-ის დამოუკიდებლად სინთეზირების უნარი არ გააჩნიათ, ამიტომ "მასპინძლის" უჯრედში ენერგეტიკულ პარაზიტებად გვევლინებიან. ადამიანის ორგანიზმში იგი ძირითადად შარდ-სასქესო სისტემის გზით ხვდება. ინფექციური პროცესის განვითარებისათვის აუცილებელია მათი გენიტალური ორგანოების ლორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებში შეჭრა და გამრავლება.

ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებული მამაკაცების რეპორდუქციული ფუნქციის შესწავლა ხდებოდა ეაკულატის კომპლექსური ლაბორატორული კვლევებით, რომლის დროს ხდებოდა მისი ყველა პარამეტრის შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ უროგენიტალური ქლამიდიოზის გამომწვევი, გარდა ურეთრის ლორწოვანის ეპითელურ უჯრედებზე პირდაპირი ზემოქმედებისა, გამრავლების პერიოდში პროდუცირებული ჰიდროლიტიკური ლიზოსომური ფერმენტების საშუალებით აზიანებს გარშემომყოფ ჯანსაღ ქსოვილებს. ამ ინფექციისათვის დამახასიათებელია, დაშლილი უჯრედების აუტოლიზური პროცესის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტების მეშვეობით, ტოქსიური ზემოქმედება მოახდინოს ეაკულატზე.

ჩვენ მიერ შესწავლილი 124 მამაკაცის უროგენიტალური ტრაქტის ინფექციურ-ანთებითი პათოლოგიის დროს დიაგნოსტირებული იქნა ეაკულატის შემდეგი მაჩვენებლები.

**ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებული
მამაკაცების ეაკულატის მონაცემები.**

ეაკულატი	ავადმყოფები	
	რაოდენობა	%
ასთენოზოსპერმია	22	17,8%
ოლიგოზოსპერმია I	23	18,5%
ოლიგოზოსპერმია II	21	16,9%
ოლიგოზოსპერმია III	14	11,3%
ასპერმია	11	8,9%
სპერმაგლუტინაცია	14	11,3%
ლეიკოციტოსპერმია	19	15,3%
სულ:	124	100%

როგორც ცხრილიდან ირკვევა, კვლევაში ჩართული მამაკაციდან არცერთს არ დაუდგინდა ნორმოსპერმიის დიაგნოზი. ყველაზე ხშირად, 64,5%-ში (80 მამაკაცი), ეაკულატში დადგინდა სპერმატოზოიდების მოძრაობისა და რაოდენობრივი ცვლილებების შემთხვევები, რაც გამოიხატა ასთენოზოსპერმიისა და სხვადასხვა ხარისხის ოლიგოზოსპერმიით. მნიშვნელოვანია სპერმაგლუტინაციის 14 შემთხვევა, რაც პაციენტთა ორგანიზმში მიმდინარე იმუნოლოგიური ცვლილებებით უნდა აიხსნას.

ასევე ირკვევა, რომ, იმ პაციენტების ეაკულატის შეფასებისას, რომელთაც შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტის დიაგნოზი დაესვათ, აღსანიშნავია, რომ ვხვდებით პათოლოგიის თითქმის ყველა ფორმას; მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული ურეთროპროსტატიტის დროს, ეაკულატის თესლსავალ გზებში ტრანსპორტირებისას ხდება მათი “დაბინძურება” ლეიკოციტებით, ანუ ვითარდება ლეიკოციტოსპერმია. აღნიშნული გამოუვლინდა 19 (15,3%) მამაკაცს. გენიტალური ორგანოების ინფექციურ-ანთებითი პროცესების დროს თესლგამტარ სადინრებში ვითარდება ობტურაციული (შეხორცებითი) პროცესები, რაც ქმნის წინააღმდეგობას ეაკულატის ტრანსპორტირების დროს. ამის ნათელი მაგალითია ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით

დაავადებული მამაკაცის სპერმაში სპერმატოზოიდების არ არსებობა - 11 (8,9%) პაციენტი.

ცხრილებში №11, №12 და №13 მოცემულია ეუაკულატის მონაცემები ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი №11

ეაკულატის მონაცემები I ჯგუფის პაციენტებში (n=45)

ეაკულატი	ავადმყოფები	
	რაოდენობა	%
ასტენოზოოსპერმია	9	20%
ოლიგოზოოსპერმია I	9	20%
ოლიგოზოოსპერმია II	8	17,8%
ოლიგოზოოსპერმია III	5	11,1%
ასპერმია	3	6,7%
სპერმაგლუტინაცია	5	11,1%
ლეიკოციტოსპერმია	6	13,3%
სულ:	45	100%

ცხრილი №12

ეაკულატის მონაცემები II ჯგუფის პაციენტებში (n=41)

ეაკულატი	ავადმყოფები	
	რაოდენობა	%
ასტენოზოოსპერმია	7	17,1%
ოლიგოზოოსპერმია I	8	19,5%
ოლიგოზოოსპერმია II	7	17,1%
ოლიგოზოოსპერმია III	5	12,1%
ასპერმია	4	9,8%
სპერმაგლუტინაცია	4	9,8%
ლეიკოციტოსპერმია	6	14,6%
სულ:	41	100%

ეაკულატის მონაცემები III ჯგუფის პაციენტებში (n=38)

ეაკულატი	ავადმყოფები	
	რაოდენობა	%
ასტენოზოსპერმია	6	15,8%
ოლიგოზოსპერმია I	6	15,8%
ოლიგოზოსპერმია II	6	15,8%
ოლიგოზოსპერმია III	4	10,5%
ასპერმია	4	10,5%
სპერმაგლუტინაცია	5	13,2%
ლეიკოციტოსპერმია	7	18,4%
სულ:	38	100%

ჩვენ მიერ არ მომხდარა პაციენტების თანაბარი გადანაწილება ჯგუფებში, ეაკულატის მონაცემების დარღვევის სიმძიმის მიხედვით, რათა მკურნალობის შემდეგ მიღებული შედეგების ანალიზის დროს არ მიგველო მიკერძოებული სურათი. პაციენტების გადანაწილება ხდებოდა პროპორციულად სპერმის მონაცემების მიხედვით, რაც გადმოცემულია ცხრილებში.

ცხრილში მოცემული არ გვაქვს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ეაკულატში დავაფიქსირეთ სპერმატოზოიდების ე.წ. ტერატოიდული ფორმები, ძირითადად თავისა და კუდის არეში. იხილეთ სურათი №2

სურათი №2

ა) და ბ) სპერმატოზოიდების პათოლოგიები

ა)



სპერმატოზოიდები თავის პათოლოგიით.

1. ორთავიანი
2. გაორებული თავით

ბ)



სპერმატოზოიდები კუდის პათოლოგიით

1. ორკუდიანი
2. მრავალკუდიანი

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოს, რომ ქრონიკულად მიმდინარე ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები იმუნური და რეპროდუქციული სისტემის მხრივ.

თავი 4.

მკურნალობის შემდეგ მიღებული მონაცემები და მათი განხილვა

4.1. მკურნალობის შემდგომი განკურნების კრიტერიუმები

ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტებით დაავადებული პაციენტების 3 ჯგუფად დაყოფისა და წინა თავებში აღწერილი ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის შემდეგ, ვახდენდით მკურნალობის შემდგომ დაკვირვებას კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების ცვლილებების შესახებ, რისთვისაც ვამოწმებდით: ა) ქრონიკული ურეთროპროსტატიტის კლინიკური მანიფესტაციის ხარისხს; ბ) ანთებითი პროცესის აქტივობას – ურეთრის გამონაყოფისა და წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის მიკროსკოპული კვლევის ნიადაგზე; გ) ლაბორატორიული კვლევის შედეგებს ურეთრის გამონაყოფისა და პროსტატის წვენი ქლამიდიური ინფექციის, ლეიკოციტებისა და ლეციტინის მარცვლების შემცველობაზე; დ) ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობას; ე) ულტრაბგერითი კვლევების საშუალებით წინამდებარე ჯირკვლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ აგებულებას; ე) ეაკულატის კვლევის შემდეგ რეპროდუქციული ფუნქციის მდგომარეობას.

სიმპტომების მანიფესტაცია და დაავადების ხანგრძლივობა მკურნალობამდე, ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულ პაციენტთა სამივე ჯგუფს პრაქტიკულად ერთნაირი ჰქონდათ.

4.2. ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორ-ნეოვირის და ფიზიოთერაპიის გამოყენებით ჩატარებული მკურნალობის გაგლეხა დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე

ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ პაციენტებში, კლინიკური გამოვლინებების ანალიზის დროს ვითვალისწინებდით შემდეგ სიმპტომებს: შარდ-სასქესო სისტემის სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილს, დიზურიულ მოვლენებს, ასთენონევროზული სინდრომის, კოპულაციური და რეპროდუქციული დისფუნქციების გამოვლინების ხარისხს.

მკურნალობის შემდგომი კლინიკური გამოვლინებები ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ პაციენტებში მოწოდებულია ცხრილებში №14-17.

ცხრილი №14

მკურნალობის შემდეგომი ტკივილის სინდრომის დინამიკა ქრონიკული ქლამიდიური ეტიოლოგიის ურეთროპროსტატიტით დაავადებულ ავადმყოფებში

ავადმყოფთა ჯგუფები	ტკივილის სინდრომი					
	გაქრა		შემცირდა		არ შეცვლილა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	24	53,3	11	24,5	10	22,2
II 41 ავადმყოფის	37	90,2	3	7,3	1	2,5
III 38 ავადმყოფის	27	71,0	9	23,7	2	5,3

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მაქსიმალური ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი მიღწეული იყო პაციენტების II ჯგუფში. ამ ჯგუფში მკურნალობის სქემა ითვალისწინებდა სამივე (ანტიბიოტიკი, იმუნომოდულატორი, ფიზიოთერაპია) კომპონენტის გამოყენებას კომპლექსურად. ავადმყოფთა III ჯგუფში ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი იყო შედარებით დაბალი, ვიდრე პირველ ჯგუფში, რადგან მკურნალობა ითვალისწინებდა მხოლოდ ორი (ანტიბიოტიკი+იმუნომოდულატორი) კომპონენტის ჩართვას, ხოლო პაციენტთა I ჯგუფში აღინიშნებოდა ყველაზე დაბალი ტკივილდამაყუჩებელი ეფექტი, რადგან პაციენტების მკურნალობა ტარდებოდა მხოლოდ ანტიბიოტიკების გამოყენებით. მკურნალობის დადებითი ეფექტი იმ ავადმყოფებში, რომლებიც იტარებდნენ ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, დაკავშირებულია მის ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებასთან,

**მკურნალობის შემდგომი დიზურიული სინდრომის დინამიკა ქრონიკული
ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში**

ავადმყოფთა ჯგუფები	დიზურიული სინდრომი					
	გაქრა		შემცირდა		არ შეცვლილა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	27	60,0	12	26,7	6	13,3
II 41 ავადმყოფის	35	85,4	4	9,7	2	4,9
III 38 ავადმყოფის	25	65,8	11	28,9	2	5,3

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე დიდი სამკურნალო ეფექტი მიღწეულია II ჯგუფის პაციენტებში, რომელთაც უტარდებოდათ კომპლექსური მკურნალობა. ამ ჯგუფის ავადმყოფთა 85,4%-ს გაუქრა დიზურიული სინდრომი. I და III ჯგუფის პაციენტების მკურნალობის შედეგები დაახლოებით ერთნაირი იყო.

**ასთენოვეროზული სინდრომის დინამიკა მკურნალობის შემდეგ
ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში**

ავადმყოფთა ჯგუფები	ასთენოვეროზული სინდრომი					
	გაქრა		შემცირდა		არ შეცვლილა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	28	62,2	14	31,1	3	6,7
II 41 ავადმყოფის	32	78,1	6	14,6	3	7,3
III 38 ავადმყოფის	24	63,1	12	31,6	2	5,3

ასთენონევროზული სინდრომის გაქრობა გამოვლინდა II ჯგუფის პაციენტთა 78,1%-ში. I და III ჯგუფის პაციენტებს, ასთენონევროზულ სინდრომზე მკურნალობის დადებითი ზემოქმედების გამოსატული ეფექტი არ დაფიქსირდა და ამ ჯგუფის მამაკაცებში შედეგები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან

ცხრილი №17

მკურნალობის შემდგომი კოპულაციური დისფუნქციის სინდრომის დინამიკა ქრონიკული ქლამიდიური ურეთროპროსტატიტით დაავადებულებში

ავადმყოფთა ჯგუფები	კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი					
	გაქრა		შემცირდა		არ შეცვლილა	
	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%
I 45 ავადმყოფის	16	35,5	21	46,7	8	17,8
II 41 ავადმყოფის	28	68,3	11	26,8	2	4,6
III 38 ავადმყოფის	18	47,4	14	36,8	6	15,8

როგორც ცხრილიდან ირკვევა, მკურნალობა ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა II ჯგუფის პაციენტებში, რადგან ამ ჯგუფში კოპულაციური დისფუნქციის სინდრომი გაქრა ავადმყოფთა 68,3%-ში. მკურნალობის ეფექტურობით მეორე ადგილზე დგას III ჯგუფი. I ჯგუფის პაციენტთა შედეგები საკმაოდ დაბალია, ისინი იტარებდნენ მხოლოდ მედიკამენტოზურ (ანტიბიოტიკით) მკურნალობას და დადებითი თერაპიული ეფექტი მიღწეულია მამაკაცთა შედარებით დაბალ %-ში

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე ეფექტურ მეთოდად ითვლება კომპლექსური მკურნალობა, რომელიც მოიცავს ანტიბიოტიკებს, იმუნომოდულატორ-ნეოვირისა და ფიზიოთერაპიულ პროცედურებს; რაც გამოწვეულია მათი ერთობლივი, კომპლექსური ზემოქმედებით კოპულაციურ დისფუნქციაზე და განაპირობებს დადებით თერაპიულ შედეგებს მამაკაცებში.

4.3. ჩატარებული მკურნალობის გავლენა ანთებითი პროცესის ხარისხზე ურეთრაში და წინამდებარე ჯირკვალში

ანთებითი პროცესის ხარისხის დადგენა ხდებოდა წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტსა და ურეთრის გამონაყოფში ლეიკოციტების რაოდენობის დათვლით. ბაქტერიოსკოპული კვლევის შედეგად სხვადასხვა მაჩვენებლების ცვლილებები ურეთრის გამონაყოფსა და პროსტატის წვენიში მოცემულია ცხრილში №18.

